ს. კ. პ. ცენტრ. და თბილისის კომიტეტის და საბჭოების ორგანო

# კომუნისტი

2 მარტი ხუთშაბათი

რედაქციის მისამართი: [illegible]

№ 48 ხუთშაბათი, 2 მარტი 1922 წ. ყოველდღიური გაზეთი ხუთშაბათი, 2 მარტი 1922 წ. № 48

## საბჭოთა პირველი ყრილობის დელეგატების საყურადღებოდ

ხუთშაბათს, 2 მარტს, დღის 3 ნახ საათზე ცეკას საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებაში შესდგება თათბირი საგიტაციო-საპროპაგანდო და პოლიტიკურ-განმანათლებელ მუშაობის შესახებ.

მოწვეულნი არიან პარტიულ კომიტეტების მდივნები, საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებათა გამგეები, პოლიტ განათლების ადგილობრივ განყოფილებათა გამგეები.

საქ: კომპარტიის ცეკას აგიტ-პროპი.

## ხუთშაბათს, დღის 2 საათზე შესდგება

## თბილისის კომიტეტის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების, რაიკომების მდივნების, რაიონში საგიტაციო მუშაობის ხელმძღვანელების და ორგანიზატორების შეერთებული სხდომა.

[illegible]

## პარასკევს, 3 მარტს, საღამოს 5 საათზე,

[illegible]

## საქართველოს კომუნისტურ პარტიის თბილისის ორგანიზაციის დელეგატების საერთო კრება.

დღის წეს-რიგი

1) პარტიის საოლქო ყრილობის ანგარიშები—მომხსენებელი ამხ. ს. ორჯონიკიძე.

2) ჩვენი საფინანსო პოლიტიკა—მომხსენებელი ამხ. სვანიძე.

თბილისის კომიტეტის მდივანი: დოლობერიძე.

# საქართველოს საბჭოთა პირველი ყრილობა

## საქ. საერთაშორისო და შინაური მდგომარეობა

### ამხ. ფ. მახარაძის მოხსენება

[illegible]

წარმოადგენდა ეს სირთულე ამ ერთი წლის წინეთ, რაც ჩვენ დაგვხვდა, და რას მივაღწიეთ ამ ხნის განმავლობაში. თქვენ იცით, რომ სამი-ოთხი წლის განმავლობაში მენშევიკების პატრონობისა საერთოთ ამიერ-კავკასიაში და კერძოთ საქართველოში, მეტად გართულდა, გაძნელდა, სამეურნეო საქმე. რომ არ გავაგრძელო, მე მიგითითებთ იმ ფაქტზე, რომელსაც ადგილი ჰქონდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების წინ. ეს იყო საქართველოს ეკონომიური ძარღვის, ტრანსპორტის განადგურება. თქვენ იცით, თუ როგორ დანგრეული იყო რკინის გზა. იმავე დროს, თუ რაიმე მარაგი იყო საქართველოში, ის განადგურებული, გაფანტული და გატაცებული იყო. შემდეგ თქვენ იცით, რომ საქართველო შეიქნა გაძარცული: რაც ძვირფასი რამ იყო—გატაცებულ იქმნა. ამავე დროს ვრცელდებოდა ათასგვარი ჭორები, პროვოკაცია. ხალხი მოწამლული იყო, მაგრამ ამით არ თავდება ყოველივე ეს. საქართველოს დამოკიდებულება სხვა და სხვა ეროვნებებთან, განსაკუთრებით იმ ეროვნულ უმცირესობასთან, რომელნიც საქართველოს ტერიტორიზე სცხოვრობდა, ყველაზე უფრო გამწვავებული იყო. პირდაპირ მტრული განწყობილება არსებობდა ეს არ იყო, ამხანაგებო, ახალი რამ.

[illegible] სცხოვრობს.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლებამ, რამდენადაც კი შესაძლებელი იყო, მიიღო მხედველობაში მთელი ეს შექმნილი მდგომარეობა, როგორც მოგახსენეთ, მეტად მძიმე მეტად ძნელი. რომ აქ ჩვენს მოქმედებას ერთბაშად შესაფერი შედეგი გამოელო—მეტად ძნელი იყო.

**საბჭოთა ხელისუფლების საფუძველი.**

მე ვამბობ, ამხანაგებო, რომ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლებას, როგორც მუშათა და გლეხთა ხელისუფლებას—აქვს რაც შეიძლება მეტი საფუძველი.

ვისზედ უნდა დაეყრდნოს საბჭოთა ხელისუფლება აქ? თქვენ კარგათ იცით, რომ საბჭოთა ხელისუფლება გამომხატველია მუშათა კლასის, პროლეტარიატის დიქტატურის. მართალია, ამხანაგებო, ჩვენში პროლეტარიატი მეტად მცირე რიცხოვანია, მაგრამ ჩვენდა სასიხარულოდ გლეხკაცობა ჩვენში საკმარისად შეგნებულია. ჩვენ იმ თავითვე ვამბობდით, რომ ასეთ ქვეყანაში, როგორც საქართველოა, ე. ი. გლეხთა ქვეყანაში მუშათა კლასი, რევოლიუცია გაიმარჯვებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ ორ კლასს შორის ნამდვილი ძმური კავშირი არის ჩამოვარდნილი. მხოლოდ ეს ორი კლასი თუ შეკავშირდება, თუ ესენი, რომლებიც დაჩაგრული იყვნენ ძველი წესწყობილების მიერ, მდიდარ კლასის მიერ, თუ მათ შორის ჩამოვარდება სრული თანხმობა, მხოლოდ ამ შემთხვევაში გამარჯვებით დაგვირგვინდება მუშათა კლასის რევოლიუცია. თუ ეს კავშირი არ მოხდა, მაშინ რა თქმა უნდა, პროლეტარიატი ვერ გაიმარჯვებს. ეს აშკარად უნდა ვსთქვათ. თუ ეს კავშირი არ მოხდა, მაშინ დამარცხდება მუშათა კლასი და გაიმარჯვებენ ისევ მემამულეები და კაპიტალისტები. ეს დაამტკიცა რუსეთის ორმა რევოლიუციამ. ეს დამტკიცდა 1905 წელში, როცა გლეხობა ვერ იყო მომზადებული და პროლეტარიატმა მარტო ვერ შესძლო რევოლიუციის გამარჯვებით დაგვირგვინება. ეს დამტკიცდა ბრწყინვალეთ რუსეთის დიდ რევოლიუციაში. როცა პროლეტარიატი და ულარიბესი გლეხკაცობა შეერთებული ძალით შეებრძოლა მტერს.

აი ჭეშმარიტება, აი ის გამოცდილება, რომელიც მოგვცა რუსეთის რევოლიუციამ. ჩვენში, საბედნიეროდ პირობები უფრო ხელსაყრელია, გლეხკაცობა შედარებით უფრო გათვითცნობიერებულია, და ჩვენ გამოცდილებით ვიცით, რომ ჩვენი გლეხკაცობა არ ჩამოუვარდება მუშათა კლასს რევოლიუციის გზაზე.

თქვენ იცით მენშევიკების დროს გლეხკაცობა ჩვენში რა რევოლიუციონურ როლს თამაშობდა. თქვენ იცით, რომ მენშევიკები ამ მხრივ თავისთვის მეტად საბედნიერო როლს თამაშობდენ. თქვენ იცით, რომ იმათ გადაჰკიდეს გლეხკაცობა ქალაქის მუშებს. თქვენ იცით, რომ იმათი სახალხო გვარდია, რომელიც უმთავრესად, წინათ მაინც, მუშებისაგან იყო შემდგარი, ეს იყო დანიშნული უმეტეს ნაწილად გლეხების აჯანყების ჩასაქრობად. თქვენ იცით, რომ ისინი უქადაგებდნენ მუშებს, რომ ქართველი გლეხობა აჯანყდა იმისთვის, რომ მეფობა დაამყაროსო. აი რა ნიადაგზე და როგორ ცდილობდენ, არამც თუ შეერთებით, არამედ გაეთიშათ ეს ორი რევოლიუციონური ძალა, რომ სავსებით დაესამარებიათ ჩვენი მუშურ გლეხური რევოლიუცია. ეს იყო ნაკარნახევი ბურჟუაზიისა და მემამულეების ინტერესების დაცვით.

იმავე დროს მენშევიკები ეხმარებოდენ მემამულეებს, მღვდლებს, კათალიკოსებს. აი ის მდგომარეობა რომელიც შექნეს მენშევიკებმა. ჩვენ ვამბობთ რომ ჩვენ საბჭოთა ხელისუფლებას აქვს მკვიდრი ნიადაგი არა მარტო მუშათა კლასში, ქალაქის მუშებში, პროლეტარიატში, არამედ ჩვენ გლეხკაცობის დიდ ნაწილშიც. ამავე დროს ჩვენ არა ვმალავთ, რომ სოციალური მდგომარეობა გლეხკაცობისა რა თქმა უნდა ნაკლებათ უწყობს ხელს სოციალიზმის განვითარებას ჩვენ ანგარიშს უწევთ ამ გარემოებას, ის არის კერძო მესაკუთრე, ის არის წვრილი ბურჟუაზიული ძალა, ეს ჩვენ ვიცით. ამისთვის ჩვენ ვამბობთ—ამ მხრივ მუშათა კლასი საკმაო ანგარიშს უწევს ამ გარემოებას, ის ვერ დადგება გლეხკაცობის თვალსაზრისის წერტილზე, ვერ დადგება იმ თვალსაზრისის წერტილზე სოციალიზმის განვითარებაში, რომელზედაც სდგას წვრილი ბურჟუაზია. ამისთვის ჩვენი დღევანდელი ეკონომიური პოლიტიკა აშენებულია იმაზე, რომ წვრილ გლეხკაცობას ხელი შეუწყოს, რომ მან თავისი ოჯახი თავისი წარმოება გააფართოვოს. ჩვენ მხოლოთ იმას უმატებთ, რომ მან რაც შეიძლება მეტი დაამუშავოს, მეტი მოხნას, მეტი დათესოს და სხვა. ჩვენ მათ ძალას არ ვატანთ ზევიდან. ერთი სიტყვით, პოლიტიკური კავშირი მუშებსა და გლეხებს შორის, სამხედრო კავშირი მუშებსა და გლეხებს შორის, და დღეს, კიდევ, ეკონომიური კავშირი იმ ეკონომიური რღვევიდან გამოსვლის დროს, რომელშიაც ჩვენ ვიმყოფებით, აი აქეთკენ არის მიმართული ჩვენი პოლიტიკა და ვამბობ, რომ ეს არის დღევანდელ პირობებში ერთად ერთი სწორი, მარ-

## სტიქიური უბედურება

საქართველოს მუშებსა და გლეხებს განსაკუთრებულ ძნელ პირობებში უხდებათ სახელმწიფოებრივი აღმშენებლობითი მუშაობის წარმოება.

იმას გარდა, რომ მათ მუშაობას ართულებს ის, რომ მენშევიკებმა გაქცევისას გაიტაცეს აუარებელი სიმდიდრე, მეურნეობის მხრივ სხვა და სხვა ომების გამო ისედაც დაცემულ და გაპარტახებულ საქართველოდან, იმის გარდა, რომ რუსეთში შიმშილობის გამო, რომელიც შედეგი გახდა წარსული წლის გვალვისა და მოუსავლობის ბუნებრივი სტიქიის და რომელმაც უსაშინელესი სახე მიიღო, რამაც ძალიან დიდი გავლენა მოახდინა ჩვენს ცხოვრებაზე საერთოდ და კერძოთ სასურსათო მდგომარეობაზე, ყველა ამას გარდა ჩვენს რესპუბლიკასაც დაატყდა თავს ახალი სტიქიური უბედურება სიმშილის სახით, რომელსაც განსაკუთრებით ფართო ხასიათი აქვს მიღებული დასავლეთ საქართველოში.

ყველაზე უფრო სასტიკი და დაუნდობელი მტერი ჩვენი ნორჩი სახელმწიფოსათვის არის სწორეთ ეს სტიქიური უბედურება, ვინაიდან ჯერ ერთი ის ბუნების მოვლენაა, რის დაძლევა არც ისე ადვილია და, მეორეთ, ის დიდ საფრთხეს უმზადებს ჩვენი მშრომელი ხალხის არსებობას.

ჩვენ კარგათ ვიცით, რომ საქართველოს ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც კარგი მოსავლები იყო, არ ყოფნიდა სავსებით შინ მოწეული პური, თუ სიმინდი და იძულებული იყო სხვა ქვეყნიდან, განსაკუთრებით და უმთავრესათ რუსეთიდან, ეზიდა ხორბალი. ცხადია, თუ ის საჭიროებდა ამის—შემოზიდვას გარედან მოსავლიანობის მხრივ შედარებით ნორმალურ და კარგ პირობებში, რა უნდა ყოფილიყო დღეს, როდესაც წარსული წლის გვალვების გამო მოუსავლობა ეწვია ქართველ მშრომელ ხალხს, რომელმაც კიდევ უფრო გააუარესა მისი ისედაც არა სახარბიელო სასურსათო მდგომარეობა. მით უმეტეს, რომ რუსეთიც დღეს ამ მხრივ, როგორც ზემოდ ვსთქვით, ცუდ მდგომარეობაში იმყოფება, რაც კიდევ უფრო ართულებს ჩვენს მდგომარეობას.

მაგრამ დღეს საქართველოს ხელისუფლების სათავეში იმყოფება მუშებისა და გლეხების მთავრობა, რომელიც გულზე ხელდაკრეფილი ვერ შეხედავდა მშრომელი ხალხის, განსაკუთრებით დამშეული გლეხობის ასეთ გაჭირვებულ მდგომარეობას და მიიღებდა ზომებს სიმშილობასთან საბრძოლველათ. რასაკვირველია, მას არ შეუძლია, და ეს აღემატება მის ძალღონეს, ახლავე მოსპოს და ძირშივე აღმოფხვრას მისი ყოველი ნატამალიც კი, მაგრამ მას შეუძლია რამდენიმეთ და საგრძნობელათაც დახმარება გაუწიოს ამ დამშეულ გლეხებს, რასაკვირველია თვით მუშებისა და გლეხების შემწეობით და გაუნელოს მას ეს უბედურება, რათა თავიდან აცილებულ იქნეს მშრომელი დამშეული მასების პირდაპირ სიმშილით მოსპობის საფრთხე.

ამის წინააღმდეგ საბრძოლველათ ჩვენმა მთავრობამ დააარსა საქართველოს დამშეულთა დამხმარე კომიტეტი, რომლის საშუალებითაც უნდა ხდებოდეს ყოველგვარი დახმარების აღმოჩენა მოუსავლობით დაზარალებულთათვის.

მაგრამ მარტო ეს კომიტეტი ვერაფერს გააწყობს და ვერ შეასრულებს პირნათლათ თავის მოვალეობას, თუ ფართე მშრომელი მასები არ გამოეხმაურენ მის მოწოდებას გაიღონ თავისი წვლილი და მით დაეხმარონ თავის იმ დამშეულ ძმებს, რომლებსაც დღეს ბუნებრივმა სტიქიამ დიდი ზარალი მიაყენა.

მშრომელთა მასების მჭიდრო კავშირი არ უნდა შესწყდეს არასდროს, არც ლხინში და არც ჭირში. ჩვენ ვიცით, რომ რუსეთის დამშეულ გლეხებს ეხმარებიან არა მარტო რუსეთის მუშები, არამედ ევროპისა და ამერიკის მუშათა მასები, რომლებიც გრძნობენ თავის სოლიდარობას რუსეთის რევოლიუციონურ მშრომელ ხალხთან და არაფერს არ იშურებენ, რათა მალამო დასდონ სიმშილისაგან მიყენებულ მის მწარე ჭრილობებს.

საქართველოს დამშეულთა დამხმარე კომიტეტის დადგენილებით თერთმეტ, და ცამეტ მარტს მოეწყობა სამდღეული დამშეულთათვის დახმარების აღმოსაჩენათ. ამ სამდღეულმა კამპანიამ სიმშილობასთან საბრძოლველათ ფართო ხასიათი უნდა მიიღოს. ქართველმა მუშებმა და გლეხებმა და აგრეთვე სოციალისტურ საქართველოს პატიოსნმა მოქალაქეებმა უნდა დაამტკიცონ დღეს, როდესაც ასეთ გაჭირვებულ და საშინელ მდგომარეობაში იმყოფებიან რაჭა-ლეჩხუმის, ზემო გურიის და საქართველოს სხვა კუთხეების დამშეული გლეხები, რომ მათ მართლა შესტკივათ გული დამშეულ მშრომელ ხალხზე და ღირსი არიან ატარონ საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის მოქალაქის ეს დიდი სახელი.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ საქართველოს მუშები ყურადღებენ ჩვენი მთავრობის მოწოდებას დამშეულთათვის დახმარების აღმოჩენის შესახებ და პირნათლათ შეასრულებენ თავიანთ მუშურ მოვალეობას დამშეული გლეხების წინაშე.

ყველამ დამშეულთათვის, ყველაფერი სიმშილის წინააღმდეგ ბრძოლისთვის!—აი რა უნდა იყოს დღევანდელი ჩვენი ლოზუნგი.

ს. ანდრიაძე.

## მენშევიკური „ინფორმაცია“

ქართველი მენშევიკების „მოღვაწეობა“ საზღვარ გარეთ ორი უმთავრესი გზით მიმდინარეობს. ერთია იმპერიალისტური ქვეყნების ძლიერთა დარწმუნება იმაში, რომ ბოლშევიკების ხელისუფლება ამიერ კავკასიაში და კერძოთ საქართველოში წარმოადგენს დიდ საფრთხეს ამ იმპერიალისტების კოლონიალური ბატონობისათვის აღმოსავლეთში, რომ გარდა ამისა ბოლშევიკური რეჟიმი საქართველოში სპობს ყოველგვარ საშუალებას იქ ანტანტის კაპიტალის მუშაობისათვის, რაც შესაძლებელი იქნება მხოლოთ მენშევიკების ტახტის აღდგენის შემდეგ. ამ გზით სურთ მათ მატერიალურათ დააინტერესონ ბურჟუაზიული ევროპის დღევანდელი მბრძანებლები საქართველოს შინაური მდგომარეობით და დაითანხმონ ისინი სამხედრო ინტერვენციაზე, რომელიც, მათი იმედით, საქართველოს მესვეურობას ჩააბარებს ნოეთა ტრიუმვირატს. ამ სფეროებთან არის ლაპარაკი აშკარა, გაშიშვლებულ ინტერვენციაზე, რადგან იმპერიალისტური რეაქციონერები საქმის ხალხია და „დემოკრატიაზე“ და სხვა ასეთებზე ლაიაიები თუ მათთვის უცხო ამბავი არ არის—ეს მხოლოთ იმდენათ, რამდენადაც ამ თვალთმაქცი და მატყუარა სიტყვებით მათ სურთ ხალხის მოტყუება და ბურჟუაზიული დიქტატურის მოხერხებულათ დაფარვა. მაგრამ ამ საქმეში, პარიზისა და ლონდონის ბრძანებლებთან დაახლოებაში, მათთან „საქმიანი“ ურთიერთობის დაჭერაში, საქართველოს მენშევიკების დამხმარეთ გამოდიან „დემოკრატიის“ ბურჯები ყვითელი ინტერნაციონალიდან. ამიტომ საჭირო ხდება „დემოკრატიული“ მასების „საზოგადოებრივი“ აზრის „დამუშავება“, რათა ამ გზით მენშევიკების ნაბიჯებმა „დიდი დემოკრატიის“ კაბინეტებში სასურველი ეფექტი იქონიოს. ამნაირათ ფართო „ინფორმაცია“ ევროპის „დემოკრატიისა“ საქართველოს შესახებ—ეს არის მეორე გზა, რომლითაც ვითარდება გაქცეულების „მოღვაწეობა“ საზღვარ-გარეთ. ჩვენ რამოდენიმეჯერ უკვე მოგვეცა შემთხვევა გვესიამოვნებია მკითხველები იმ ფანტასტიური ამბების გაცნობით, რომლებსაც ავრცელებენ უცხოეთში მენშევიკების აგენტები საბჭოთა ხელისუფლების სახელის გასატეხათ. როდესაც ამ სასაცილო ლათაიებს ქუჩებზე ჰკრეფენ და ავრცელებენ „ქართული მისიის“ აგენტები, რომლებიც ამისთვის საკადრის „ჩაჲ“-ს იღებენ თავის ბატონებისაგან—ეს არ არის მაინცა და მაინც ძალიან გასაკვირი ამბავი. მდგომარეობა უფრო დამაფიქრებელი ხდება მენშევიკებისათვის, თუ ასეთ ჭორების, ინსინუაციების, პროვოკაციული ხმების გავრცელების გარდა ალარაფერი საინფორმაციო მასალა აღარ გააჩნიათ არქივებში ამ წყალწაღებული პარტიის ოფიციალურ ცენტრალურ დაწესებულებებს და მის პასუხისმგებელ „დიპლომატიურ წარმომადგენლებს“ საზღვარ გარეთ.

ჩვენ წინ სძევს ცნობილი მარტოვისა და აბრამოვიჩის ჟურნალი ბერლინში და მემარჯვენე კადეტების: ნაბოკოვის და გესსენის გაზეთი ამავე ქალაქში. პირველში („სოციალისტიჩესკი ვესტნიკ“) მოთავსებულია საქართველოს მენშევიკური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ გაგზავნილი „ცნობები“ საბჭოთა არჩევნების შესახებ. მეორეში („რულ“) დაბეჭდილია საუბარი, რომელიც ჰქონია ამ გაზეთის თანამშრომელთან „საქართველოს (!) ელჩს გერმანიაში, დ-რ ვ. ახმეტელაშვილს“.

როგორ ცნობებს აწვდის მენშევიკური ცენტრალური კომიტეტი ევროპის „დემოკრატიას“? „ბოლშევიკებმა გამოსცეს დეკრეტი — სწერს ციკა—რომლის თანახმათ დაინიშნა უკვე მთელ საქართველოში არჩევნები საბჭოების, რომლებმაც შესწყვიტეს არსებობა მას შემდეგ რაც რუსის ჯარის მიერ საქართველოს ოკუპაცია მოხდა. არჩევნები უნდა მოხდეს ღიათ, ხელის აწევით. სოციალისტებს და სხვა ოპოზიციონურ ჯგუფებს აღკრძალული აქვთ კანდიდატების სიის წარდგენა. წინასწარ გამოაცხადეს, რომ არა ბოლშევიკები არ იქნებიან დეპუტატებათ დამტკიცებული რევკომის მიერ... საქართველოს მუშებმა და გლეხებმა გამოუცხადეს ბოიკოტი ამ არჩევნებს.

ბოლშევიკები ჰკეტენ ფაბრიკის კარებს, ძალათი ამწყვდევენ ეზოში მუშებს და სცდილობენ აიძულონ ისინი არჩევნებში მონაწილეობის მიღებაზე—მაგრამ უშედეგოთ. ამრჩეველთა საერთო რიცხვიდან, რომელიც უდრის 500 კაცს ბოლშევიკების კანდიდატები იღებენ ხოლმე 8—10 ხმას“.

რასაკვირველია ვესტნიკის რედაქცია არ უშვებს ასეთი სიმართლით აღსავსე ცნობას უშენიშვნოთ და ამბობს, რომ მკითხველები იცნობენ ამ წესებს საბჭოთა რუსეთის საარჩევნო კამპანიებიდანო.

ახლა მოვუსმინოთ „საქართველოს ელჩს გერმანიაში“.

ბატონი ახმეტელაშვილი წინდაწინვე არწმუნებს თავის თანამესაუბრეს, რომ „მათ“ მისდით „რეგულიარული და სწორი ცნობები იმის შესახებ თუ რა ხდება საქართველოში დღიდან რუსულ—ბოლშევიკური ჯარის მიერ მისი ოკუპაციისა“. როგორია ეს სწორი ცნობები? სიტყვა რომ არ გავაგრძელდეს, მოვიყვან მხოლოდ რამოდენიმეს. „საქართველოში არ ყოფილა არასოდეს ბოლშევიკური მოძრაობა“. ბუდუ მდივანი და „კიროვი, რომელიც სდგას სამოქალაქო მმართველობის სათავეში“ და ყველა დანარჩენებიც არიან მოსკოვის „სოვნარკომის“ აგენტები „უმრავლესობა ტრამვაის მოსამსახურეებისა გაგზავნეს მოსკოვში“. „მოსახლეობა გამოვიდა მოთმინებიდან და უკვე აღარ ემორჩილება ხელმძღვანელ ძალას. აჯანყებები ხდება უმთავრესათ სოფლებში და მთებში... ჩვენ მივიღეთ ამ ჟამათ ცნობები, რომ აჯანყება მოედო კახეთს და აღმოსავლეთ საქართველოს“.

ასეთია მოკლეთ კრებული იმ სიცრუის, რომელიც ჩვენ სხვა მრავალთა შორის ამოვიღეთ მენშევიკების მიერ გავრცელებული „სწორი ცნობებიდან“. ასეთი ინფორმაციით უმასპინძლდებიან ისინი „დიდი დემოკრატიების“ „საზოგადოებრივ“ აზრს, ამ გზით და მსგავსი საშუალებით სურთ მათ „დაამუშავონ“ თავის სასარგებლოთ ეს აზრი.

„ჩვენ გვაქვს რეგულიარული და სწორი ცნობები იმის შესახებ თუ რა ხდება საქართველოში“-ო განაცხადა, როგორც ზევით მოვიხსენეთ, ბ ნ ახმეტელაშვილმა. ჩვენც გვგონია, რომ ბოლოს და ბოლოს მათ მართლაც მოეპოებათ თავისთვის, „შინაურობაში“ სახმარათ, სწორი ცნობები მათი პარტიის ჭეშმარიტი მდგომარეობის შესახებ და საზოგადოთ იმაზე, რაც ხდება დღეს საქართველოში, და აგრედვე მის მეზობელ რესპუბლიკებში. მიუხედავათ მთელ რიგ სასტიკ დამარცხებათა, მათი რიგების არევ დარევისა და საერთო პოლიტიკური დემორალიზაციისა მათში, ალბათ აქა-იქ კიდევ დალინკილობენ ცალკე ერთეულები, რომლებიც, გვგონია ჩვენ, აძლევენ უპირატესობას „მდაბალ ჭეშმარიტებებს“ მათ „ამამაღლებელ ტყუილის“ წინაშე და აწვდიან თავის საზღვარგარეთელ ბელადებს მართლა სწორ ცნობებს.

მაგრამ ეს სწორი ცნობები არ სცილდება მათი კიდობნის არქივს და მხოლოთ სათანადოთ დამუშავებული ქვეყნდება „დემოკრატიის“ საყურადღებოთ. თუ არა ამ გზით და ასეთი საშუალებით: სწორი ამბების და აქაური ჭეშმარიტი მდგომარეობის დამახინჯებით, ინსინუაციების, ქუჩებში მობოჭილი ჭორების გავრცელებით, ევროპის ემიგრანტები ვერ მოახერხებენ თავისი ნიაღვარ წაღებული საქმის სამსახურს.

ჩვენ, რასაკვირველია, ზედმეტათ მიგვაჩნია შევჩერდეთ კონკრეტიულათ მათ მიერ თითო მოჭორილ ამბავზე ჩვენი მკითხველებისათვის, ამხანაგ მუშებისა და გლეხებისათვის, საკმაოა მივუთითოთ მენშევიკების მიერ გავრცელებულ „სწორ ცნობებზე“, რომ თავიდან ბოლომდე ეს კამპანია სათანადოთ შეფასებულ იქნეს მათ მიერ.

პარტია, რომელიც ამ გზით მიისწრაფვის მოინადიროს საზოგადოებრივი თანაგრძნობა, დაღუპულია საზღვარგარეთაც ისე, როგორ დაღუპულია ის აქ.

ნ. კრედო.

ტივი და სამართლიანი პოლიტიკა.

მართალია, ამხანაგებო, ჩვენს მუშაობაში არ არის ყველაფერი რიგზე, ჩვენ ვერ ვიტყვით იმას რომ იმ ახალ გზაზე, რომელზედაც დავდექით ჩვენ, შეგვიძლიან ყველაფერი მოვაწყოთ ისე, რომ იმას შესწორება არა სჭიროდეს ანდა ვთქვათ, რომ ეს შეურყეველი იყოს. სხვადასხვა ზომები, რომელსაც ჩვენ ვღებულობთ, თხოულობენ დიდს აწონ დაწონვას, დიდ შეფასებას. ჩვენ ამას თავის დღეში არ უარვყოფთ, და რომ უარვყოთ, ეს იქნებოდა ჩვენი სიბეცე, თვალის ავლება იმისა, რაც ხდება.

**ეკონომიური მდგომარეობა.**

თქვენ იცით, რომ წინანდელმა მთავრობამ, საკმაოდ დიდი სიმდიდრე ჩაიბარა, დიდი მარაგი ჰქონდა მას სხვადასხვა ნივთეულობისა, სხვადასხვა საგნებისა, სამხედრო თუ სამოქალაქოსი, ჩვენი დამყარება აქ მოხდა სწორედ იმ დროს, როცა ეს მარაგი ან გაფლანგული იყო, ან და სწორედ იმ ხანებში აქედან გატანილი. ჩვენ ერთი დღიდან მეორე დღემდე ვცხოვრობთ. ჩვენ სასურსათო საქმე აქ უფრო უმწეო მდგომარეობაში გვყავდა, ვინემ რუსეთში იყო ეს საქმე დაყენებული. ასე თუ ისე რუსეთში რამდენი გაჭირვებაც არ უნდა იყოს, სახელმწიფოს ერთნაირი მუდმივი მარაგი მაინც აქვს, უამისოდ ის არასოდეს არ ყოფილა. ჩვენში კი ასე არ იყო და ასეთი მარაგების შექმნა ყოვლად შეუძლებელი გახდა. ჩვენ დავადექით ნატურალურ გადასახადის პოლიტიკას. ეს ჩვენ გადმოვიღეთ რუსეთის მაგალითიდან. ვერ ვიტყვი, რომ ჩვენ ამ შემთხვევაში სავსებით გაუწიეთ ანგარიში ჩვენს პირობებს, მაგრამ მეორეს მხრივ რამდენადაც ნაკლიანი არ უნდა იყოს ეს გადასახადი, ყოველ შემთხვევაში სხვა გზა ჩვენ თითქმის არ გვქონდა.

საიდანღაც უნდა შეგვექმნა ჩვენ ასეთი მარაგი, ისეთი მდგომარეობა, რომ შეგვეძლებოდა შენახვა სახელმწიფოსათვის აუცილებლად საჭირო დაწესებულებებისა, აგრეთვე მრეწველობა, რომელიც მუშათა კლასის ხელშია, რკინის გზებისა და უპირველესად ყოვლისა წითელი ჯარისა, ყველა ამისათვის საიდან უნდა მიგველო მარაგი?

**რუსეთის დახმარება.**

თქვენ იცით, რომ ჩვენ ვღებულობდით და ეხლაც ვღებულობთ რუსეთისაგან ბევრ სასურსათო მასალას. ამხანაგებო, შეიძლება რომელიმე თქვენთაგანმა წაიკითხა მენშევიკების კომიტეტის მიერ გამოცემული მოწოდება, საქართველოდან გააქვთ საქონელიო. მე არ ვიცი, მენშევიკების ცენტრალურმა კომიტეტმა, როცა იგი ასეთ რამეს ამბობდა, რით არ მოიგონა თუ ვინ გაიტანა აქედან 20 გემი დატვირთული, როგორც სურსათით და სხვადასხვა საქონელით, ისე განძეულობა, რომელიც ჰქონდა ქართველ ხალხს. რაც შეეხება მოსკოვში გატანას, უნდა აქ საჯაროთ განვაცხადო, რომ სწორედ მოსკოვიდან და, საერთოდ, რუსეთიდან ჩვენ ვღებულობთ დიდ დახმარებას, როგორც საქონლით, როგორც სხვა საგნებით, როგორც პურით, ისე ოქროთი. ის ოქრო, ამხანაგებო, რომელიც იქ არის, ღებულობს ჩვენი სახელმწიფო, ეს შეადგენს ჩვენს ფონდს, რომლითაც ჩვენ აქამდე საზღვარგარეთ შეძლება გვქონდა შეგვეძინა სურსათი, განსაკუთრებით პური.

აი რა მდგომარეობა არის, ამხანაგებო, მაგრამ თქვენ იცით, რომ ყოვლად შეუძლებელია, რომ მარტო ამაზე დავამყაროთ, აუცილებლად საჭიროა, რომ ჩვენ აქაც, თვით საქართველოშიც, გავაჩინოთ ერთნაირი მარაგი! თუ ეს არ გვექნება, მაშინ ჩვენ არ გვექნება მტკიცე საფუძველი. ჩვენს პოლიტიკას არ ექნება მტკიცე ნიადაგი. მე არ ვმალავ იმას, რომ პირველი ცდის დროს, როცა ჩვენ არ გვქონდა გადასახადის შეკრებისათვის შესაფერი აპარატი, რა თქმა უნდა მოსალოდნელი იყო ზოგიერთი შეცდომები. გარდა ამისა, აქვე უნდა აღვნიშნო ის გარემოება, რომ ამ გადასახადის შემოღება აქ მოხდა სწორეთ იმ დროს, როცა საქართველოს თავს დაატყდა დიდი მოუსავლობა.

**შიმშილი.**

რა თქმა უნდა, ამან კიდევ უფრო გაამწვავა მდგომარეობა. იმ შიმშილის წინააღმდეგ, რომელიც ამ უკანასკნელ თვეებში ფრიად საგრძნობი შეიქნა, თქვენ იცით, რომ აქ ბრძოლა და ზომების მიღება ადვილი საქმე არ არის. თქვენ იცით, რომ ჩვენ დამოკიდებული ვიყავით წინეთ, და ახლაც ამ მხრივ დამოკიდებულნი ვართ რუსეთისაგან. თქვენ უნდა იცოდეთ, რომ არასოდეს ჩვენში პური არ შემოჰქონდათ შორი ქვეყნიდან. თქვენ იცით, რომ გასულ წლის განმავლობაში მილიონ ფუთამდე სხვადასხვა სანოვაგე შემოვიდა მარტო საქართველოში. ეხლაც მიღებულია ყოველგვარი ზომები, რომ ამ მხრით რაც შეუძლია სახელმწიფოს, ის გაიღოს და გაღებული აქვს კიდეც. მაგრამ ჩვენ აქ დღიურ წესრიგში გვაქვს ცალკე საკითხი შიმშილობის შესახებ და იქ მომხსენებელი უფრო დაწვრილებით შეეხება ამ საკითხს.

**მრეწველობა და ვაჭრობა.**

მე კი აქ მინდა აღვნიშნო ის გარემოება, რომ მიუხედავათ ყოველგვარი გასაჭირისა, რომელიც გზაზე გვხვდებოდა, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი მრეწველობა აქ მუდამ დაბალ დონეზე იდგა წინეთაც, მიუხედავად იმ გაჭირვებისა, რომელშიაც ჩვენ მოგვიხდა აქ მოქმედება, უნდა ითქვას, რომ ეს მრეწველობა თანდათან ფეხზე დგება. მე დარწმუნებული ვარ, რომ ამის შესახებ დაწვრილებით ანგარიშს წარმოგვიდგენს მომხსენებელი ჩვენი ეკონომიური პოლიტიკის შესახებ. მე აღვნიშნავ მხოლოდ იმას, რომ ჩვენ გაგვძარცვეს, მაინც გამოცოცხლება უკვე გვეტყობა, თქვენ იცით, რომ დღეს უკვე ბათუმისა და ფოთის ნავთსადგურები გამოცოცხლდენ. თქვენ იცით, რომ დღეს უკვე მოდიოდიან არა მარტო უცხოეთის გემები, არამედ საქართველოს ბაირაღის ქვეშ მყოფი გემებიც. რა თქმა უნდა, ეს გემები შედარებით მცირეა, მაგრამ ნაბიჯი მაინც გადადგმულია და ესეც სანუგეშოა ჩვენი მომავალი მოღვაწეობისათვის.

**მენშევიკების მუშაობა.**

მე აქ შევჩერდები ერთ გარემოებაზე: მე ვთქვი, რომ საქართველოში დიდი ნიადაგი აქვს საბჭოთა ხელისუფლებას, რომ საბჭოთა ხელისუფლება არ არის მოგონილი, არ არის ხელოვნურად მაღლიდან ძალდატანებით შემოღებული, არამედ მას აქვს მკვიდრი საფუძველი. ამის დასამტკიცებლად მე ჩამოვთვალე სხვადასხვა კლასები: მუშათა კლასი, ქალაქის პროლეტარიატი, სოფლის გლეხკაცობა. და განსაკუთრებით მისი უღარიბესი ნაწილი, რომელნიც უმრავლესობას წარმოადგენს მთელს სახელმწიფოში.

მიუხედავად ამისა, არიან ელემენტები, რომლებიც ამ საბჭოთა ხელისუფლებას არამც თუ არ სცნობენ, არამედ მის წინააღმდეგაც გამოდიან. თქვენ იცით, რომ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების პირველ პირველ დღესვე ჩვენ მივმართეთ მოწოდებით მენშევიკების ყოფილ მთავრობას, რომელიც მაშინ ბათუმისაკენ იყო გაქცეული, რომ მათ შეეწყვიტათ წინააღმდეგობა, რადგან ეს იყო უგუნურება იმათ მხრივ და ჩვენ ზავის პირობები წარუდგინეთ. ისინი სიტყვით შეგვპირდენ, მაგრამ საქმით დაარღვიეს ეს პირობა. შემდეგ გველაპარაკებოდენ, რომ ჩვენ არ ვფიქრობთ საქართველოში აჯანყების მოწყობას საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, არ მოვიხმართ საქართველოში უცხოეთის იმპერიალისტების ჯარსო. ჩვენ გვეუბნებოდენ, გვიდასტურებდენ იმას, რომ ჩვენ საბჭოთა ხელისუფლების ნიადაგზე გვსურს თქვენთან ერთად მოღვაწეობაო. ეს გამოდგა მხოლოდ სიტყვა. თქვენ იცით, რომ არსებობს არალეგალური ჯგუფები, რომლებსაც კავშირი აქვთ საზღვარ-გარეთ გაქცეულ მენშევიკებთან, პირდაპირ მძარცველებთან და ავაზაკებთან, რომლებმაც გაძარცვეს, უღალატეს ხალხს, რომლებსაც გაბმული აქვთ მიწერ-მოწერა. მათ, ალბათ, უკვე გამოელიათ ხაზინა, რომელიც აქედან წაიღეს დღეს ფიქრობენ აქვე გამობრუნებას, რადგანაც შემოაკლდათ აქედან წაღებული საცხოვრებელი სახსარი. ეს მათი აქ დაბრუნება შეიძლება მხოლოდ მაშინ, როდესაც აქ საბჭოთა ხელისუფლება დაეცემა. მე ვამბობ, რომ ჩვენი პოლიტიკა დათმობის, ზავის, არ გამართლდა არა იმიტომ, რომ ჩვენ არ გვინდოდა, არამედ იმათ არავითარი გულაჩვილობა, გულწრფელობა არა ჰქონდათ. და შეუდგენ ხალხში ათასგვარ პროვოკაციის გავრცელებას უფრო მეტად, ვიდრე წინად. რა თქმა უნდა ისინი არავითარ სერიოზულ ძალას არ წარმოადგენენ.

მაგრამ, მიუხედავად ამისა, ყოვლად შეუძლებელია, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ ამას გულგრილად შეხედოს და ყურადღება არ მიაქციოს. ჩვენმა მტრებმა განსაკუთრებით აირჩიეს მოზარდი თაობა. თქვენ იცით, რომ ბავშვებს ასი თორმეტ წლამდე არა აქვთ რაიმე გაკვლეული რამ და აი აქ სწორედ ხელსაყრელი ნიადაგი გაიჩინეს. აღსანიშნავია ამ მხრივ ჩვენი სისუსტეც, რომ ჯეროვანი ყურადღება ვერ მივაქციეთ და აშკარად უნდა ითქვას, რომ მათ ამ მცირე წლოვან ბავშვებში იპოვეს ერთნაირი დასაყრდნობი რამ.

მაგრამ ეს არ არის სერიოზული ძალა და არც შეიძლება იყოს—ეს ყოველმა თქვენგანმა კარგად იცის. მე ვამბობ, ამხანაგებო, არის აგრეთვე სხვა ჯგუფები—თუმცა ესენი ეხლა გაერთიანდნენ, რომელნიც იმის ფიქრში არიან, რომ მშრომელთა ხელისუფლება დასცენ და გაანადგურონ და განაგრძობენ აგიტაციას. ჩვენ ხელს გვიშლიან ჩვენს მუშაობაში და აფერხებენ მას სამუდამოთ. უნდა ვსთქვათ, რომ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა, რომ მშრომელი ხალხი მას არავისს არ დაუთმობს, თუ არა თავის თავგანწირვით. მოგახსენებთ, ამხანაგებო, რომ ჩვენ კერძოდ არავისი წინააღმდეგობა არ გვაქვს; ჩვენ მხოლოდ მშრომელი ხალხის ინტერესებიდან გამოვდივართ და დარწმუნებული ვართ, რომ ამ ნიადაგზე ვისთანაც არ უნდა მოგვიხდეს ბრძოლა ან რაიმე, ან ვისიმე ინტერესების დაცვა კერძოდ, არამედ მხოლოდ და მხოლოდ მშრომელი ხალხის ინტერების დაცვა.

**ეროვნულ უმცირესობათა საკითხი.**

მეორე მდგომარეობა, რომელიც აქ იყო შექმნილი და რომელსაც ჩვენ ბევრი დრო მოვანდომეთ, ბევრი მუშაობა და ენერგია დავხარჯეთ, ეს იყო ეროვნული უმცირესობათა მდგომარეობა. მე უკვე მოგახსენეთ, რომ ამ მხრივ მდგომარეობა მეტად არასასიამოვნო, მეტად სამწუხარო იყო. სიტყვას ქართველი ხალხისა, ქართველი კაცისა თქვენ ვერ გააგონებდით არა თუ სომეხს, ოსს, აფხაზს, არამედ იმას, რომელთანაც ნათესაური კავშირი გვაქვს, ე. ი. აჭარლებს. უნდა გითხრათ, ამხანაგებო, რომ მდგომარეობა წარმოუდგენელი იყო, მე მრცხვენოდა აჭარლის, სომეხის, აფხაზის. ისეთნაირი წახდარი და სავალალო იყო ჩვენი ურთიერთობა. არ არსებობდა არც სომხისათვის, არც აჭარლისათვის ქართველი ბოლშევიკი ან მენშევიკი; მათთვის არსებობდა მხოლოდ ქართველი, რომელსაც ისინი ზიზღს უცხადებდნენ. რა უნდა გვექნა, როგორ უნდა მოგვქცეულიყავით? წარმოიდგინეთ, ერთი წლის განმავლობაში, ჩვენ შეგვიძლიან თამამათ ვსთქვათ, ეს არ არის, რასაკვირველია, პატარა საქმე. ეს არავის ჩვენგანს არ ჰგონია, ეს არის საბჭოთა ხელისუფლების აზრი, თვითონ მისი არსება, რომ ამ წლის განმავლობაში, ამ ხელისუფლებამ შესძლო მოეგვარებინა ეს ურთიერთობა, ჩამოეგდო მშვიდობიანობა, არამც თუ გარეგნულად, არამედ ნამდვილად, გულწრფელი დამოკიდებულებით, და დღეს ჩვენ შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ ამ მხრით უზრუნველყოფილი ვართ. ეს რაც იყო წარსული საქმე და ეხლა კი მომავალშიაც სომეხი, თათარი, ოსი, აფხაზი, თუ რუსი ვინც არ უნდა იყვეს, ის საქართველოს მიწაწყალზე ყველა სრულუფლებიანი მოქალაქენი არიან. არც ერთი ენა არ არის ისეთი, რომ სჩაგრავდეს სხვა ენას. აი თავი და თავი საგანი. ჩვენ რომ ვლაპარაკობთ ერთა თვით-გამორკვევაზე, ჩვენ ვამბობთ, რომ ამის უფლება აქვს ყველა ეროვნებას, რაც უნდა მცირე იყოს იგი, აქ არავითარი ძალდატანებას ადგილი არა აქვს. ჩვენ შევძელით მოგვეგვარებინა ეს ურთიერთობა.

**ფედერაცია.**

ჩვენ, ამხანაგებო, იმავე დროს არა მარტო საქართველოში შევქმენით ასეთი პირობები, არამედ ჩვენ დავადექით იმ გზას თავიდანვე, რომელსაც უნდა დავდგომოდით. რომ ჩამოგვეგდო ძმური კავშირი ყველა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა შორის. თქვენ იცით ის დაქუცმაცება, რომელიც მოხდა მენშევიკების დროს. ის ათასგვარი ლობეები, საბაჟოები და სხვა ამგვარი დაწესებულებანი, რომლებიც აღმართული იყო ამ რესპუბლიკათა საზღვრებზე. ერთ ფეხის ნაბიჯს ვერ გადადგამდით, რომ არ გაეჩერებინეთ და თქვენი ვინაობა არ გაეჩხრიკათ, ნივთები არ აეფორიაქებინათ. ეს იყო ჩვენი უბედურება. ყველა გრძნობდა რომ ეს რაღაც შეუძლებელი იყო.

გარდა ამისა, ამხანაგებო, თქვენ იცით, რომ არის ბევრი ისეთი საქმეები, რომელთა მოგვარებაც ისე პატარა სახელმწიფოებს, რომლებიც აქ არიან, არ შეუძლიანთ. ამიტომ, ჩვენ დავადექით იმ გზას, რომ საჭიროა ეს პატარა რესპუბლიკები შეკავშირდნენ, შექმნან კავშირი და საერთო საქმე მოაწყონ ისე, როგორც ამას თხოულობს მუშათა კლასის ინტერესები. აქვე უნდა განვაცხადო, რომ არავის აზრათაც არ აქვს, რომ ამით იზღუდება რამდენადმე მაინც საქართველოს მშრომელი მასის დამოუკიდებელი არსებობა. საქმე რაშია ამხანაგებო! წეღანაც მოგახსენეთ, რომ დღეს დედამიწის ზურგზე არ არის არც ერთი სახელმწიფო, რომელიც ისე აბსოლიუტურად, რომ იტყვიან განყენებულად, დამოუკიდებელი იყოს. არ არსებობს არც ერთი ასეთი სახელმწიფო. ყოველ სახელმწიფოს დამოუკიდებელი არსებობა შეუძლიან იმდენად, რამდენადაც იგი კავშირსა ჰკრავს სხვა სახელმწიფოებთან. უამისოდ კი დამოუკიდებელი არსებობა არ შეუძლიან. ამას ამტკიცებს იმპერიალიზმის განვითარების უკანასკნელი ხანა. ვინც იტყვის, რომ საქართველომ უნდა იარსებოს განცალკევებულად—ის ან უგუნური იქნება, ან პირდაპირ შემლილი. ეს ყოვლად შეუძლებელია. მეორეს მხრივ ჩვენ ვაცხადებთ, რომ ამ კავშირით, ამ ფედერაციით ოდნავაც არ იზღუდება არსებითი უფლებები მშრომელი ხალხისა, პირიქით, სწორედ ეს შეუწყობს ხელს ნამდვილ დამოუკიდებლობის უზრუნველყოფას. რა თქმა უნდა ეს არის ჩვენი უმთავრესი მიზანი და ამ მიზანს რასაკვირველია ჩვენ განვახორციელებთ.

**ჩვენი ამოცანები.**

ჩვენი მუშაობა ამდენი ხნის განმავლობაში მიმართული იყო იქითკენ, რომ რამდენადაც შეგვეძლო ჩქარა მოგვესპო ის მდგომარეობა, რომელიც დროებით იყო შექმნილი. საქმე იმაშია, რომ ჩვენ არ გვყავდა ნამდვილი საბჭოთა ორგანოები. ნამდვილი საბჭოთა ძალაუფლების გამომხატველი ორგანოები. მთელი ჩვენი მუშაობა მიმართული იყო იმისკენ რომ ეს ორგანოები შეგვექმნა ადგილობრივ. ჩვენ უნდა შეგვექმნა ადგილობრივ ის საბჭოთა ორგანოები, რომლებიც მართლაც გამომხატველი იქნებოდენ მშრომელთა ინტერესებისა. ჩვენ ვხედავთ იმას, რომ დღეს ეს მიზანი განხორციელებული არის. ეხლა იწყება ხანა საბჭოთა საქართველოს ცხოვრებაში. თქვენ იცით, ამხანაგებო, რომ ჩვენი საბჭოთა სახელმწიფოები დღეს არ არიან თავისი არსებობით სრულიად უზრუნველყოფილნი. მათი მდგომარეობა ასეთია: თუ ვინიცობაა ოდნავად შეემჩნათ სისუსტე, მაშინვე იმათ წინააღმდეგ ხმალი ამოღებული არის. რა თქმა უნდა თუ ჩვენ არ გამოგვიგზავნეს ნობათი ტანკებისაგან და დრედნოუტებისაგან, ეს არ აიხსნება იმით, რომ ისინი გვიყურებენ, როგორც მათ მეგობრებს. ეს აიხსნება მხოლოდ იმით, რომ ჯერ ისინი ვერ ახერხებენ ამის ჩადენას. მაგრამ პირველ მოხერხების დროსვე ისინი მზათ იქნებიან ჩვენ წინააღმდეგ იარაღი აიღონ ხელთ. ჩვენთვის აუცილებელი არის დღეს ზრუნვა წითელ ჯარის შესადგენად. ეს უნდა გავიხადოთ ჩვენ უმთავრეს საზრუნავ საგნად. საუბედუროთ საჭიროა ჯერ კიდევ შეიარაღებული წითელი ჯარის ყოლა იმისთვის, რომ ჩვენ წინააღმდეგ შეიარაღებულნი არიან. მე მგონია, რომ ჩვენი ყრილობა ამ გარემოებას მეტად დიდ ყურადღებას მიაქცევს. მე კიდევ შევაჩერებ თქვენს ყურადღებას სამეურნეო ფრონტზე, ე. ი. მრეწველობისა და სასოფლო-მეურნეობის აღდგენაზე. ეს ისეთი რამ არის ურომლისოდ ჩვენ ვერ გავძლებთ. საბჭოთა ხელისუფლებას, რა თქმა უნდა, შეეძლება იცხოვროს, მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ხალხი უნდა გამოვიყვანოთ იმ გაჭირვებიდან და სილატაკიდან, რომელშიაც იგი იმყოფება.

ეს შეიძლება მხოლოდ ჩვენი მრეწველობის და სასოფლო მეურნეობის აღორძინებით. როგორ და რა გზით ამის შესახებ სხვა მოხსენება იქნება გაკეთებული.

**დასკვნა.**

როგორია ჩვენი შინაური მდგომარეობა? მე ვამბობ, რომ ჩვენი შინაური მდგომარეობა დღეს გაცილებით უმჯობესია, ვინემ ამ რამოდენიმე ხნის წინათ იყო. ჩვენ შევძელით გამოსვლა იმ გაჭირვებიდან, რომელშიაც ვიყავით ჩავარდნილი საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადების პირველ დღეებში. სწორ გზაზე დავაყენეთ და რამდენადაც შესაძლო იყო ხელი შევუწყვეთ უცხოელებთან დამოკიდებულებას.

რაც შეეხება ჩვენს საერთაშორისო მდგომარეობას, ამ შემთხვევაში, ამხანაგებო, ჩვენი მდგომარეობა ბევრად უმჯობესია ვიდრე ის იყო ამ ერთი ორი წლის წინეთ. თქვენ იცით, რომ თვით იმპერიალისტურ სახელმწიფოების მიერ დაყენებულია საკითხი ჩვენთან სავაჭრო კავშირის დასაჭერად. ამ მხრივ ბევრი რამ არის გაკეთებული. თუმცა ჩვენ იმისი იმედი არა გვაქვს, რომ ისინი ჩვენდა სასარგებლოდ გადასწყვეტენ რამეს, მაგრამ ჩვენ ეს ვიცით და მხოლოდ იმას მივიღებთ, რაც ჩვენთვის ხელსაყრელი იქნება. მე არ შევეხები იმ მდგომარეობას, რომელიც შექმნილია დღეს საერთაშორისო მუშათა მოძრაობის საქმეში. ეს არ შეეხება ჩემს მოხსენებას. მე ვამბობ, რომ ფაქტები მოწმობენ, რომ მუშათა მოძრაობა ძლიერდება, რევოლიუცია თანდათან ახლოვდება, მაგრამ უნდა ვსთქვა, რომ ჩვენ საკუთარ ძალას უნდა დავეყრდნოთ. დღეს ჩვენი პოლიტიკა იმნაირია, რომ საბჭოთა რესპუბლიკებმა, მართალია, პირველათვე წამოაყენეს საერთაშორისო რევოლიუციის მოხდენის საკითხი, ურომლისოდაც მათ ვერ წარმოედგინათ თავის არსებობა, მაგრამ ოთხი წლის ბრძოლამ დაამტკიცა, რომ ეს შესაძლებელი ყოფილა და მე მგონია ჩვენ შევძლებთ იმ მძიმე პირობებიდან გამოსვლას საკუთარი ძალით, თუ განახლდება სავაჭრო ურთიერთობა უცხო სახელმწიფოებთან. და ჩვენ შევძლებთ არა მარტო აქ გავიმაგროთ ზურგი, არამედ საერთაშორისო მოძრაობასაც გავუწიოთ სამსახური მით, რომ დაუმტკიცებთ ქვეყნიერებას, რომ საბჭოთა ხელისუფლებას, მშრომელ ხალხს შეუძლია თავის დაღწევა კაპიტალისტურ ბატონობისაგან და შეუძლიან საკუთარი ძალით გაუძლოს თავის საქმეებს. ჩვენი ხალხის ანდაზა ამბობს „გაჭირვება გვირჩენი და გაქცევას გიჩვენებო“. ჩვენ სწორეთ დიდი გაჭირვება გვადგია, მაგრამ მე ვამბობ, რომ ამ გასაჭირიდგან შევძლებთ გამარჯვებით გამოსვლას. მე ვამბობ რომ დღეს საქართველოს მდგომარეობა, როგორც შიგნით, ისე გარეთ შედარებით ბევრად უფრო მკვიდრ ნიადაგზე სდგას და მას საფრთხე არ მოელის; მე ვამბობ, რომ ჩვენი საერთაშორისო პროლეტარიატის, ყველა ქვეყნის მუშების, გლეხების და მშრომელთა წინაშე შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ ჩვენ მტკიცედ გვიჭირავს საკუთარ ხელში ხელისუფლება, რომ ნამდვილი საქართველოს მშრომელი მასსები სდგანან თავის ხელისუფლების ერთგულ დარაჯათ და არავის არ მისცემენ ნებას, რომ მის უფლებას შეეხონ და მოინდომონ მისი ვერაგულად ჩამოგდება (ტაში).

**მეოთხე დღე**

28 თებერვლის [illegible] სხდომა დაიწყო კამათით ამხ. ტოროშელიძის მოხსენების გამო ს. მ. უ. ს. მოქმედების შესახებ. კამათი დიდხანს გაგრძელდა და მეტათ გაცხოველებული ხასიათი ჰქონდა. დასასრულ მიღებული იქნა რეზოლიუცია, რომელიც იწონებს მოხსენების თეზისებს.

სხდომის ბოლოს მოისმინეს ფინანსთა სახალხო კომისარის ამხ. სვანიძის მოხსენება. კამათი ამ მოხსენების შესახებ არ იქნა დაწყებული, რადგან რეგლამენტის მიხედვით სხდომის ვადა უკვე გათავებული იყო.

# წითელ რესპუბლიკებში

## რუსეთი

**მოსკოვი**, 28 თებერვალი (რადიო). გაითვალისწინა რა წითელ არმიელთა ოჯახების მძიმე მდგომარეობა მომავალ გაზაფხულის თესვის კამპანიის დროს და მათთვის რეალურ დახმარების საჭიროების აუცილებლობა, სრულიად რუსეთის ცენტ. აღმასკომმა დაადგინა: მიწათ-მოქმედების სახ. კომისარიატის განცხადება იმის შესახებ, რომ წითელ არმიელთა ოჯახებს დასჭირდება 1,053,000 ფუთი თესლი,—იცნას დასაკმაყოფილებლათ და წინადადება მისცეს მიწათ-მოქმედების სახ. კომისარიატს მოწერილობა გაუგზავნოს დამშეულ გუბერნიებს, რომლებიც სათესლე მარცვალს იღებენ,—წითელ არმიელთა ოჯახებს თესლის დარიგების დროს უპირატესობა მიეცეს მოსახლეობასთან შედარებით.

**საბჭოთა მართლმსაჯულება**

**მოსკოვი**. 28 თებერვალი (რადიო). 1 იანვრიდან 24 თებერვლამდე პეტროგრადში ვაჭრობის წესების დარღვევისთვის პასუხისგებაში მიეცნენ 120 მაღაზიის და ყავახანის პატრონი. უკვე განხილულ საქმეების თაობაზე მოვაჭრეებს მიუსაჯეს 60 მილიონ მანეთის ჯარიმის გადახდა.

**ამერიკის პური**

**პეტროგრადი**, 22 თებერვ. (ტელ.). საკითხი ამერიკის პურის ფინეთით გადმოტანის შესახებ დადებითად გადასწყდა. ამ მოკლე ხანში მოელიან პირველ პარტიას. ამერიკის რამდენიმე გემი პურით გაემართა ფინეთის ნავთსადგურებში.

# უკრაინის ღარიბთა კომიტეტების ყრილობა

**მოსკოვი**. 28 თებერვალი, (რადიო). სრულიად უკრაინის ღარიბთა კომიტეტების მე 2 ყრილობის საქმიანი მუშაობა დაიწყო მთავრობის ანგარიშებით. სახ. კომ. საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. მანუილსკიმ თავის სიტყვაში დაახასიათა საბჭოთა უკრაინის მდგომარეობა. გაჩერდა რა იმ მოთხოვნილებებზე, რომლებსაც კაპიტალისტური ევროპა აყენებს, მანუილსკიმ განაცხადა: „მე ვფიქრობ, რომ ჩვენ არ დავთანხმდებით პუანკარეს მოთხოვნილებათა მიღებაზე, კაპიტულიაციის რეჟიმზე. მე გადაჭრით ვაცხადებთ, რომ ეს არ იქნება: ჩვენ არ მივიღებთ პირობებს ჩვენი წარმოების საერთაშორისო კაპიტალისთვის გადაცემაზე“. გადავიდა რა სიმშილის საკითხზე, მანუილსკიმ აღნიშნა, რომ უკრაინის დამშეულ გუბერნიების სათესი მასალით უზრუნველსაყოფად, აუცილებლად საჭიროა არა ნაკლებ 4 მილიონი ფუთი თესლისა. ჯერ-ჯერობით მიწოდებულია 800 000 ფუთი ამის მიზეზია ჩვენი ტრანსპორტის დანგრევა და თოვლის ნამქერი. მთავრობა მაინც დაიმედებული არის, რომ 1 მარტიდან ის მიაწოდებს სათეს მასალის 67 პროც. მოსალოდნელ გვალვასთან საბრძოლველად მზადდება გვალვის ამტანი ფეტვისა და სიმინდის კულტურა. ფეტვი დაჯავშნილია პურის საგროვ პუნქტებზე 600.000 ფუთამდე. სიმინდი შესყიდულია საზღვარ-გარეთ: რუმინეთში ნაყიდია 480,000 ფუთი სიმინდი, ჩეხო—სლოვაკიაში 250,000 ფუთამდე ქერი. ტრანსპორტი 27 ვაგონით გადმოვიდა საზღვარზე დონის აუზის მიმართულებით“.—ყრილობამ მქუხარე, ტაშის ცემით აღნიშნა ნანსენის კომიტეტის უანგარო მოქმედება. მანუილსკის შენიშვნამ ეკლესიის წარმომადგენლების მხრივ დამშეულთა უბედურებასთან პასიური მოპყრობის გამო, დელეგატებში გამოიწვია ხმები: „სირცხვილი სამღვდელოებას“.

# „რ. ს. ს. რესპუბლიკავ, ნუ გძინავს“

**მოსკოვი**, 28 თებ. (რადიო). წერილში სათაურით „რ. ს. ს. რ. არ დაიძინო“ „იზვესტიაში“ სტეკლოვი წერს: „პოლიტიკური წონასწორობა კიდევ არ არის მტკიცე. საბჭოთა რუსეთს არ შეუძლია დარწმუნდეს იმაში, რომ ახლო მომავალში მას უზრუნველყოფენ ნამდვილი ზავით. ანტანტას მოაქვს ჩვენთან სიურპრიზი კონფერენციის გადადებაზე პრეტენზიების სახით. თუ ამდენხანს ანტანტას კრიზისიდან გამოსავალად სთვლიდა საბჭოთა რუსეთთან ბრძოლას, ამ გამოსავალის მონახვა მას შეუძლიან დღესაც. ნიშნები აშკარაა. მონარქისტები თავის ძალებს თავს უყრიან საფრანგეთის, და შეიძლება ინგლისისაც, მითითებით ვრანგელის ბანდების ნაშთებს თავს იყრიან ბალკანეთში, რუსეთის საზღვართან ახლოს. რუმინეთს რეზერვში ყავს მახნო პეტლიურის ბანდიტები. პოლონეთს—პეტლიურის და სავინკოვის ნაწილები. იაპონო-მერკულოველებს განზრახული აქვთ ახალი თავდასხმა მოახდინონ შორეულ აღმოსავლეთზე.

კადეტები განაგრძობენ ქადაგობას საბჭოთა რესპუბლიკის წინააღმდეგ ახალი ომის დაწყებაზე: ბურცევის „საერთო საქმე“-ში დაბეჭდილია კადეტების პარიზის ჯგუფის ამონაწერი, სადაც პროტესტს აცხადებენ გენუაში რუსეთის მოწვევის საწინააღმდეგოდ, და ეუდარებიან უცხო სახელმწიფოებს დაიწყონ ულმობელი ბრძოლა საბჭოთა რესპუბლიკის წინააღმდეგ. ახმაურდნენ ესერებიც; სადაც ახალ კონტრ-რევოლიუციონურ აჯანყების სუნი უდის — ესერები არიან მემარჯვენე კადეტებთან, რომლებიც ოცნებობენ სამოქალაქო ომის განახლებაზე. ამ საფრთხეს საბჭოთა რესპუბლიკა უნდა შეხვდეს ერთსულოვნად, წითელ არმიელმა უფრო მაგრად უნდა მოკიდოს ხელი თოფს, დე იცოდნენ მუშებმა და გლეხებმა რომ მტერი კვლავ ამოძრავდა, და თუ ეს მტერი მოიფიქრებს უშიშრად მიახლოვებას საბჭოთა შენობასთან, უნდა სამუდამოდ ვასწავლოდ მას ჭკუა და თავდამტრეული გავაბრუნოთ უკან. საბჭოთა რუსეთს ახსოვს მეთერთმეტე მუხლი თავისი აღთქმისა“.

# „ჩვენი რევოლიუციის რეზერვები“

**მოსკოვი**. 28 თებერვალი. (რადიო). გაზეთი „პრავდა“ სწერს: კომუნისტური მუშათა მოძრაობა იზრდება მთელ მსოფლიოში. ამას ამტკიცებს კომინტერნის აღმასრულებელი კომიტეტის ჩამოსული დელეგატების ანგარიშები. მთლიანი ფრონტის ტაქტიკა აძლიერებს კომუნისტური პარტიის გავლენას. უკანასკნელი სიტყვა საბჭოთა რუსეთის მსოფლიო კაპიტალის წინააღმდეგ ბრძოლაში ეკუთვნის საერთაშორისო პროლეტარიატს. კაპიტალის შემოტევამ აიძულა მუშათა კლასი გადასულიყო აქტიურ დაცვაზე იქაც კი, სადაც მასსები ძლიერ დაიღალენ წინანდელ ბრძოლებში და სადაც ისინი იმყოფებოდენ ძალა უფლებისათვის პოლიტიკურ ბრძოლის მიმართ დროებით აპატიის და უნდობლობის მდგომარეობაში.

მუშათა მოძრაობის დაწყებული გამოცოცხლების პირობები არიან ერთადერთი ხელმძღვანელნი პროლეტარიატის ეკონომიური ბრძოლისა. იმ დროს, როცა, მაგალ. გერმანიაში რკინის გზის გაფიცვების დროს ყველა სოციალისტურმა პარტიებმა უღალატეს პროლეტარიატს, მხოლოდ მარტო კომუნისტები დარჩენ ბოლომდის მუშათა კლასთან. მათი გავლენა იზრდებოდა სოციალ პატრიოტების და გამცემლების ანგარიშზე. მუშათა მთლიანი ფრონტის ტაქტიკა, რომელიც საბოლოოდ ნიშნავს სოციალ გამცემლების იზოლიაციას იმ მუშათა მასსებთან, რომელნიც მათ ბელადებს მიყვებიან, ზოგან უკვე ცხოვრებაშია გატარებული და მოიტანა უეჭველად დადებითი შედეგები. ევროპის მუშათა მასსები ძლიერ გრძნობენ მუშათა კლასის მთლიანობის აუცილებლობას, კაპიტალის წინააღმდეგ მძიმე ბრძოლაში.

საბჭოთა რუსეთის ბრძოლა იმპერიალისტურ სახელმწიფოებთან არ შეწყვეტილა. ვის ეკუთვნის გადამწყვეტი სიტყვა ამ ბრძოლაში? ვხედავთ რა პროლეტარიატის სიძლიერის ზრდას, ჩვენ გადაჭრით ვიცით, რომ ამ ძალას ეკუთვნის უკანასკნელი გადამწყვეტი სიტყვა იმ ბრძოლაში, რომელსაც აწარმოებს საბჭოთა რუსეთი მსოფლიო კაპიტალიზმთან.

# შიმშილი

ქალაქის ქუჩებში მათხოვრებს შეხვდებით,
ქუჩების ხმაურში სევდა იმალება:
„მოგვხედეთ ბედკრულებს... ფეხზე ველარ ვდგებით,
„შიმშილით ჩამოვდნით, სიცოცხლე გვაკლდება.
მუშათა უბნებში ძონძებში დადიან,
მუშათა ბინებში კნავიან ბალღები,
ჩონჩხებათ ქცეულნი თითებს იწუწნიან,
ერთმანეთს კაწრავენ და კბენენ საწყლები.
ნამცეცებს პურისას ეძებენ ნაგავში,
უბეებს ივსებენ ნასუფრალ ძვალებით
კარ და კარ დაძრწიან დარში და ავდარში,
ითხოვენ წყალობას ცრემლიან თვალებით.
სოფელი წაავავს პირღია სამარეს,
რომ გარს უთესია გლოვა და ტირილი,
გლეხ-კაცის ცხოვრებას რა გაახარებს,
როს მეფობს მთა-ბარათ მეუფე შიმშილი.
არ ყეფენ ძაღლები... არ ყივის მამალი,
არ ისმის არსაით ჭიხვინი, ბღავილი,
არ მღერის მეურმე, მიაკლდა საგზალი,
ოჯახშიც არ ელის მაძღარი ცოლ-შვილი.
ქოხებში ტანჯვაა: ტირილი, ვაება,
შიმშილი ხარხარებს ტ სიკვდილს ახარებს,
მთვარესაც აბნელებს მშიერთა წვალება...
უბედურთ, უმწეოთ სამარეს აბარებს.

**სანდრო ეული.**

# საქართველო და გენუა

**მოსკოვი, 11 თებერვ.** „იზვესტია“ სპეციალურ წერილს უძღვნის „გენუ- [illegible]

გავაფართოვოთ საკითხი მის ლოღიკურ ჩარჩოებში. თუ გნებავთ, ვიმს- [illegible]

[illegible] ნვაცხადოდ, რომ არსებითად, სრულიათ ვლებულობთ გენდერსონის წინადადებას, რამდენათაც იგი ნაკარნახებია ეროვნულ შევიწროების წინააღმდეგ მიმართულ კეთილ შობილურ ზიზღით და ატარებს პრინციპიალურ ხასიათს. ჩვენ მზად ვართ ვართ მივესალმოთ გენდერსონის წინადადებას. იგულისხმება, რომ გერდესონისა და გაერთიანებულ ეროვნულ საბჭოსათვის საქართველო წარმოადგენს მხოლოდ საბაბს. ამ გამჭრიახმა პოლიტიკოსებმა ვერ გაბედეს ერთბაშათ საკითხის მთელი თავის სიგრძე სიგანით დასმა, რადგანაც ეშინოდათ არ შეეშფოთებიათ ლოიდ ჯორჯი და სხვა მოკავშირე მინისტრები მათ გონივრულათ გადაწყვიტეს, რომ პირველად უნდა აღიძრას საკითხი ერთი ქვეყნის შესახებ, შემდეგ ბუნებრივად ამოცურდებიან სხვებიც. ჩვენ მზადავართ დავეხმაროთ გენდერსონს და [illegible] ნებიან ჯერ გენდერსონისა, როგორც ამ საკითხის პირველ ინიციატორისა და მერე საბჭოთა რუსეთისა, რომელმაც მშვიდად მიიღო მისი ინიციატივა იმავე უანგარო იდეურ მოტივებით, რომლითაც ხელმძღვანელობდა გაერთიანებული ეროვნული საბჭო. როგორ შეხვდებიან გენდერსონის კეთილშობილურ წინადადებას სხვა სახელმწიფოები, ჩვენ არ ვიცით. მაგრამ ჩვენ არ გაგვაკვირვებს, თუ ზოგიერთი მათგანი ამის გამო მოიგონებენ ცნობილ იგავ არაკს „მეგობარ დათვის“ შესახებ. მაგრამ ეს უკვე ჩვენი ბრალი არაა. გაუგზავნა რა გაერთიანებულ ეროვნულ საბჭოს რეზოლიუცია ამხ. კრასინს, გენდერსონს სურდა ალბად გასცნობოდა საბჭოთა მთავრობის დამოკიდებულებას მის მოქმედებისადმი ეხლა მან ყველაფერი იცის მან და სხვა ყველა დანარჩენებმა.

# გენუას კონფერენციისათვის

**გადადების გარშემო**

**მოსკოვი. 23 თებერვალი, (რადიო).** „დეილი ქრონიკლი“ იუწყება: „მინისტრების წრეებში აღიარებენ, რომ გენუას კონფერენცია, ბონომის კაბინეტის დაცემის გამო, უნდა გადადებულ იქნას. უნდა გადაიდვას აგრეთვე ექსპერტების წინასწარი საერთაშორისო თათბირი, რომელიც განზრახული იყო ლონდონში კონფერენციის პროგრამის გამოსამუშავებლათ. ჩვენ მთავრობას მაინც იმედი აქვს, რომ გენუას კონფერენციის მოწვევა შესაძლებელი იქნება, და რომ მას დიდი ხნით გადადება არ დასჭირდება, ჩვენ ვწუხვართ ამ გადადებას, მაგრამ მარტო ერთი თვით გადადებას არ ექნება დიდი მნიშვნელობა, თუ ამ დროს გამოიყენებენ მოსამზადებელ მუშაობისთვის. სულ სხვა ნაირათ წავა საქმე თუ დაუშვებენ გაცილებით მეტი ხნით გადადებას, რასაც მოითხოვს პუანკარე და რასაც იგი, იმედი გვაქვს შესაძლებლათ დაინახავს უარჰყოს“.

„ტანი“ სწერს, რომ გენუას კონფერენცია საჭირო არ არის, ვიდრე ექსპერტების კონფერენცია არ გათავდება. ეს უკანასკნელი ვერ დაიწყება სამ კვირაზე ადრე, რომელიც საჭიროა საფრანგეთის ექსპერტებისთვის თავიანთ დასკვნების გამოსამუშავებლათ. ამას გარდა, არის კიდევ მთელი რიგი პოლიტიკური საკითხებისა, რომლებიც შეეხებიან გენუას და რომლებიც აღნიშნულნი არიან საფრანგეთის ნოტაში 6 თებერვლის რიცხვით, რომელზედაც ჯერ არ უპასუხნია ბრიტანიის მთავრობას ai ამიტომ კონფერენციის მოწვევა 8 მარტს სრულიათ შეუძლებელია.

**მოსკოვი. 23 თებერვალი, (რადიო).** ნაუენიდან 20 თებერვლის რიცხვით იუწყებიან: იტალიის კაბინეტის დაცემის გამო, გენუას კონფერენცია გადადვეს რეიტერის სააგენტოს ცნობით, ეს გადადება ხანგრძლივი არ იქნება წინასწარი კონფერენცია იმავ სააგენტოს ცნობით, შესდგება ლონდონში ამ კვირია. ინგლისურ პრესის ცნობით, გენუას კონფერენცია გაიმართება აპრილის პირველ დღეებში.

**მოსკოვი. 25 თებერვალი, (რადიო).** როგორც ლონდონიდან იუწყებიან 20 თებერვლის რიცხვით, გერმანიის პრესა ერთხმათ ხსნის ინგლისის თანხმობას კონფერენციის გადადებაზე, როგორც ლოიდ-ჯორჯის უკან დახევის პუანკარეს წინ „დეილი-ჰეროლდის“ ცნობით, ინგლისის მთავრობაში რაღაცა ძალები ეწინააღმდეგებიან გენუას, იტალიის კრიზისს გამოიყენებენ, როგორც საბაბს ხანგრძლივი გადადებისთვის. თუ იტალიაში ახალი არჩევნები დაინიშნა, კონფერენცია, უკეთუ იგი შესდგება, გადატანილ იქნება ლონდონში.

**კონფერენციის გადადებისთვის.**

**მოსკოვი. 26 თებერვალი, (რადიო).** ბერლინიდან 22 თებერვალს. იტყობინებიან, ხვალ უნდა იქნას გამოქვეყნებული ნოტა, რომელიც დღეს საფრანგეთის წარმომადგენელმა გადასცა ვირტს. ამ ნოტაში საფრანგეთის მთავრობა იუწყება, რომ საფრანგეთი იტალიისაგან მოითხოვს გენუას კონფერენციის გადადებას. ერთ და იმავე დროს რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ ინგლისის და იტალიის მთავრობის წრეებში გენუას კონფერენციის გადადების შესახებ ჯერ არავითარი ცნობა არ არის, და ლოიდ-ჯორჯი, კანის კონფერენციის დადგენილების თანახმად, მზათაა 8 მარტისთვის გაემგზავროს გენუაში. გერმანელთა პოლიტიკური წრეები ფიქრობენ. რომ კონფერენცია გადაიდება აპრილის შუა რიცხვებამდი.

**ლონდონი. 26 თებერვალი, (რადიო.** ლოიდ-ჯორჯმა აცნობა თემთა პალატას, რომ გენუას კონფერენციის მოწვევის ვადის წინდაწინ განსაზღვრა შეუძლებელია, და ამ კითხვის გადაჭრა დამოკიდებულია იტალიის მთავრობაზე.

**ანტანტა და საბჭოთა რუსეთის ცნობა.**

**მოსკოვი 26 თებერვალი, (რადიო).** „ტანი“-ი იუწყება,—რომ ინგლისის მთავრობა პუანკარესთან დათმობის გზას დაადგა, და საბჭოთა მთავრობის ცნობას გადადებს მანამდე, სანამ რუსეთი არ უზრუნველყოფს უცხო კაპიტალისტების კერძო საკუთრებაზე უფლების ცნობას, რომელიც დაზიანდნენ ნაციონალიზაციისაგან. მხოლოდ ექვსითვის გამოცდის შემდეგ იქნება საბჭოთა რუსეთი ახალ კონფერენციაზე მოწვეული.

**ოსმალეთი და გენუას კონფერენცია.**

**მოსკოვი, 26 თებ. (რადიო).** ლონდონიდან იუწყებიან: ლოიდ ჯორჯმა განუცხადა თემთა პალატას, გენუას კონფერენცია არას შემთხვევაში არ გადასინჯავს ოსმალეთის პრობლემას.

**გენუას კონფერენციის მისალმება.**

**რომი, 24 თებ. (რადიო).** გენუაში მივიდა ინგლისის ესკადრა, რომელსაც დავალებული აქვს ზეიმით მისალმოს საერთაშორისო კონფერენციის დელეგატებს. მოელიან ამერიკის ესკადრას.

**ინგლის-საფრანგეთის შეთანხმების პირობები.**

**მოსკოვი, 26 თებ. (რადიო).** „დეილი ტელეგრაფი“ ბეჭდავს შემდეგ მნიშვნელოვან ცნობას იმ შეთანხმების მუხლის შესახებ, რომელზედაც შეეძლო მორიგება საფრანგეთსა და ინგლისს. მათ შორის არსებითად აუცილებელია შეთანხმება შემდეგ ძირითად პრინციპებში: გენუას კონფერენცია უნდა იქნას მხოლოდ როგორც პირველი იმ კონფერენციათა სერიაში, რომლებიც უნდა მოწვეულ იქნან ყოველ 6 თვეში ერთხელ. რუსეთთან ურთიერთობის საკითხის გადაწყვეტის დროს ხელმძღვანელ პრინციპად უნდა იყოს პრინციპი კერძო წარმოებათა თანდათანობით განვითარებისა. ოფიციალური საქმეები მეორე რიგში იდგებიან და ამ საქმეებს მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა შეუდგნენ, თუ პირველები გამოდგებიან დაკმაყოფილებულნი.

**მცირე ანტანტა.**

**ბუქარესტი, 27 თებ. (რადიო).** იუგო სლავიის და რუმინეთის პირველ მინისტრებ შორის იუგო სლავიის მისიის ბუქარესტში ყოფნის დროს მიღწეულია სრული შეთანხმება იმის შესახებ, თუ როგორ მოიქცეს მცირე ანტანტა გენუას კონფერენციაზე.

**ათი წლის ზავი.**

**რომი, 26 თებ. (რადიო იტალიის სატელეგრაფო სააგენტოსი)** „დეილი ქრონიკლი“ იუწყება, რომ ლოიდ ჯორჯს განზრახვა აქვს წინადადება მისცეს გენუას კონფერენციას დაამყარონ „ათი წლის ზავი“, ამ ვადის განმავლობაში ევროპის ყველა სახელმწიფოები მოვალენი იქნებიან თავი შეიკავონ ერთმანეთის წინააღმდეგ მტრულ მოქმედებისგან. ამ დროს უნდა ყველა ზომა იქნას მიღებული ევროპის ეკონომიურ ცხოვრების აღსადგენად.

— ფრანგულ გაზეთების ცნობით, ლოიდ ჯორჯს განზრახვა აქვს წინადადება მისცეს გენუას კონფერენციას ხმელეთის ჯარის შეიარაღების შემოკლების შესახებ.

**რომი, 27 თებ. (რადიო).** რეიტერის სააგენტო იუწყება, ინგლისის სამხედრო წრეები დარწმუნებულნი არიან, რომ გერმანია 10 წლის განმავლობაში მაინც ვერ შეიძლებს საფრანგეთზე დაცემასr.

**კონფერენციის მოწვევის ვადა.**

**ნაუენი, 27 თებ. (რადიო).** იტალიის მთავრობამ აცნობა ყველა მთავრობებს, რომ გენუას კონფერენცია გადადებულ იქნა. „ტაიმს“-ის ცნობით, ლოიდ ჯორჯი ბეჯითად მოითხოვს, რომ კონფერენცია მოხდეს არა უგვიანეს მარტის გასულისა.

**ევროპის ეკონომიური ცხოვრების აღდგენა.**

**ლონდონი, 27 თებერ. (რადიო).** „დეილი ქრონიკლი“ იუწყება, რომ ლოიდ ჯორჯმა გამოიმუშავა ევროპის ეკონომიურ აღდგენის გეგმა. ეს გეგმა ითვალისწინებს იმ გარემოებას, რომ აუცილებლათ საჭიროა ყველა ერების ჩარევა სამრეწველო, საფინანსო და სავაჭრო ურთიერთობის გამაგრების საქმეში მოკავშირეთა და ყოფილ მტრულ და ნეიტრალურ ქვეყნებს შორის. ეს ჩარევა უნდა დაფუძნებული იყოს ურთიერთისადმი ნდობაზე, არსებულ სახელმწიფო საზღვრების აღიარებაზე, და ერთი სახელმწიფოს მიერ მეორეზე დაცემის სავალდებულო უარყოფაზე.

**იტალიის დელეგაცია გენუაში.**

**ბორდო, 27 თებ. (რადიო).** უკვე გამოირკვა იტალიის დელეგაციის შემადგენლობა გენუას კონფერენციაზე. დელეგაციის სათავეში დგას—ტიტონი.

**საბჭოთა მთავრობის განცხადება.**

**ნაუენი, 27 თებ. (რადიო).** რიგიდან მიღებულ ცნობებით, საბჭოთა მთავრობა ამზადებს ნოტას ანტანტისადმი, რომელშიაც აცხადებს, რომ თუ მოკავშირეები და მცირე ანტანტა შეჰკრავენ შეთანხმებას რუსეთის შესახებ ურუსეთოთ, მაშინ მოსკოვი უარს იტყვის გენუას კონფერენციაში მონაწილეობის მიღებაზე.

# ბულონის თათბირი

**ლოიდ-ჯორჯის და პუანკარეს შეხვედრა.**

**ბორდო. 27 თებერვალი. (რადიო).** ბულონ სიურ-მერში შესდგა ლოიდ-ჯორჯისა და პუანკარეს თათბირი. ამ თათბირის შესახებ ლოიდ ჯორჯმა ინგლისის პრესის წარმომადგენლებთან საუბარის დროს აღნიშნა თათბირის მეგობრული ხასიათი და მაზე მიხწეული სრული შეთანხმება. თათბირმა გადასწყვიტა საჩქაროდ მოიწვიოს ინგლისის, საფრანგეთის და იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრების კონფერენცია იმ საკითხების განსახილველად, რომლებიც ეხებიან ახლო აღმოსავლეთს.

**პარიზი. 27 თებერვალი. (რადიო)** ლოიდ-ჯორჯისა და პუანკარეს თათბირის შემდეგ, პუანკარე გაემგზავრა პარიზში, ლოიდ ჯორჯი ლონდონში.

**ლონდონი 27 თებერვალი (რადიო).** გამოქვეყნებულია ოფიციალური ცნობა ბულონში საფრანგეთის და ინგლისის პრემიერების შეხვედრის შესახებ. ოფიციალურ ცნობაში აღნიშნულია, რომ პრემიერების შეხვედრას ქონდა მხოლოდ მეგობრული ხასიათი. სრული გარკვევით არის დამყარებული, რომ მოკავშირეებს გულწრფელი განზრახვა აქვთ იმუშაონ მეგობრულად და ურთიერთ ნდობით ევროპის ეკონომიურ ცხოვრების აღსადგენად და საერთო მშვიდობიანობის გასამტკიცებლად. ორთავე პრემიერმა გამოიმუშავეს თავიანთ მთავრობებისადმი მისამართი განცხადების ტექსტი იმ ხაზის შესახებ, რომელიც უნდა გაატარონ ინგლისმა და საფრანგეთმა თავიანთ საგარეო პოლიტიკაში. გენუის კონფერენციის შესახებ დადგენილია დაეყრდნონ საფრანგეთის მემორანდუმს, რომლის უმთავრეს მუხლს შეადგენს აბსოლიუტური და უსიტყვოდ უარის თქმა, გენუის კონფერენციაზე არამც თუ მარტო ვერსალის ხელშეკრულების განხილვაზე, არამედ სან-ჟერმენსკის, ტრიანონის, სევრის და ნეილში დადებულ ხელშეკრულების განხილვაზედაც. დადგენილია აგრეთვე არ განიხილონ საბჭოთა მთავრობასთან დადებული ხელშეკრულებები. პრემიერთა თათბირმა დაადასტურა კანის დადგენილების მე-6 მუხლი, რომელიც ამყარებს სახელმწიფოს შინაურ საქმეებში ჩაურევლობის პრინციპს და ურთიერთ თავდასხმაზე უარის თქმის პრინციპს. ბოლოს დადგენილია დაიტოვონ სანქციის უფლება, იმ შემთხვევისათვის თუ გერმანია არ შეასრულებს თავის ვალდებულებებს.

— ინგლისისა და საფრანგეთის პრესა აღნიშნავს, რომ გენუის კონფერენცია არავითარ შემთხვევაში არ შეეხება იმ საკითხებს, რომლებიც ეხება საკონტრიბუციო პრობლემას, და აქვს უფლება განიხილოს გადახდის ჯამი და მისი პირობები. პრემიერთა თათბირზე დაადგინეს რომ მოკავშირეებს უნდა გაეცნოთ ხალხთა ლიგისათვის ყველა საკითხები, რომლებიც უნდა განხილულ იქნან გენუის კონფერენციაზე, გერმანია რომ იყვეს ხალხთა ლიგის წევრად იმის გამო, რომ გერმანია და რუსეთი არ შედიან ხალხთა ლიგაში ეს ვალდებულება ისპობა. ბოლოს ლოიდ-ჯორჯის წინადადებით დაადგინეს ეცნობოს გერმანიას ყოველივე დაწვრილებით ბულონის თათბირის შესახებ.

**რუსეთის აღიარებისათვის.**

**ბორდო. 27 თებერვალი. (რადიო).** ბულონის თათბირზე დაადგინეს საკითხი საბჭოთა მთავრობის აღიარების შესახებ გადასდონ გენუის კონფერენციის ბოლომდი.

**პარიზი. 27 თებერვალი. (რადიო).** „ჟურნალი“ აღნიშნავს, რომ ლოიდ-ჯორჯს აუცილებლად მიაჩნია რუსეთის მიერ ომის წინა ვალების ცნობა მიუხედავად რუსეთზე დენიკინის, კოლჩაკის, იუდენიჩის და ვრანგელის თავდასხმისა.

**კმაყოფილნი არიან.**

**პარიზი. 27 თებერვალი. (რადიო).** „ტანი“ ეხება რა ბულონში შეხვედრას, აღნიშნავს, რომ საფრანგეთის და ინგლისის პოლიტიკური წრეები სრული კმაყოფილი არიან ლოიდ-ჯორჯისა და პუანკარეს მოლაპარაკებით „ტაიმსი“ და „ობსერვერი“ თავის მხრივ აღნიშნავენ, რომ ლოიდ-ჯორჯმა გულწრფელი კმაყოფილება გამოსთქვა შეხვედრის შედეგების გამო, რომლის შემდეგაც ინგლის-საფრანგეთის კავშირი დადგა სწორ და მტკიცე გზაზე.

# პატარა ფელეტონი

**ნედლი მასალა**

[illegible]

ქუჩაში შეხვდა იმავ სკოლის მოწაფე კოწია მეტიჩარიძეს.

— რას ჩამოგიგდია, ბიჭო, ჩიჩვირი ერესეფერის ფულები ხომ არ გქონდა დასტობით? სიცილით ჰკითხა კოწიამ ტიტიკოს.

— ნეტა შენ, რომ ხუმრობის გუნებაზე ხარ! ალბათ გაკვეთილები დამზადებული გაქ. მე კი წუხელი შუა ღამემდი კამათლები ვაგორე,—გაკვეთილები მხოლოთ ძილში მაბოდებდა!

— რათ გინდა, ბიჭო, დღეს გაკვეთილების ცოდნა, ხომ არ გგონია რომ მისვლის თანავე შეგეკითხებიან? თუ შენ არც კი იცი, რომ დღეს გაკვეთილები საჭირო არ არიან?

— მართლა თუ!? რატომ?

— რატომ და დღეს თერთმეტი თებერვალია.

— მერე რა, რომ თერთმეტი თებერვალია?

— ეი ხა! როგორც ვატყობ, შენ კამათლებმა გაკვეთილები კი არა ყველაფერი დაგავიწყა ამ ქვეყნათ! არ გახსოვს, შარშან ამ დროს რომ მთელი თვე წიგნში არც კი ჩაგვიხედავს?

— მახსოვს, მარა ის ხომ შარშან იყო, მორჩა და გათავდა!

— უკაცრავათ, შარშან თუ ერთი თვე ვიკუნტრუშეთ,—წელს რომ ერთი დღე ვიტუნაოთ, რა დიდი საქმე იქნება?! მე შენ გითხრა მიზეზი არა გვაქ თუ!

— რა მიზეზი, ბიჭო?

— რა მიზეზი და დღევანდელ დღეს მენშევიკები გლოვობენ სამოთხის დაკარგვას და ჩვენც გვეხვეწებიან იგლოვეთო. გლოვის რა მოგახსენო და ხვინტრიცი კი არ გვაწყენს. მე რაც [illegible]

ბევრი ცხვირი, ყურები და ქოჩორი დაზიანდებოდა, რომ შემთხვევით გამვლელი ჩეკისტები არ წაწრებოდენ ამ ამბავს და მოსაშველეთ არ ჩარეულიყვნენ მოდავეთა შორის.

ცხვირ-ყურ-ქოჩორი გადარჩა, მაგრამ საგრძნობლად დაზიანდა არამკითხე მოამბის იონა ბრეხნიჩევის ქუდი.

ამნაირათ სასაცილოდ ჩატარდა თერთმეტი თებერვლის სამგლოვიარო დღე.

მაგრამ ამ ნედლი მასალით შემდეგ ნაირათ ისარგებლა საზღვარგარეთელი მენშევიკების ცენტრალურ ორგანოს „თავისუფალ საქართველოს“ იუმორისტმა, რომელმაც შემდეგი ცნობა მოათავსა ჟურნალში:

„თერთმეტ თებერვალს ბალშევიკები გაიქცნენ საქართველოდან ისეთი სისწრაფით, რომ თან წაღება ვერაფრის ვერ მოასწრეს. მათი დარჩენილი სიმდიდრე ბევრათ აღემატება ჩვენ მიერ წამოღებულს.

ბრძოლაში გადამწყვეტი როლი ითამაშეს მოსწავლე ახალგაზრდობამ განურჩევლად სქესისა და ხნოვანობისა.

მთელი საქართველო აღფრთოვანებით დღესასწაულობს განთავისუფლებას.

საქართველოს მთავრობა და დამფუძნებელი კრების წევრები საჩქაროთ ემზადებიან პარიჟიდან თბილისში წასასვლელათ.

ჩვენი ჟურნალი „თავისუფალი საქართველო“ ამ ნომრით სწყვეტს თავის არსებობას საზღვარ გარეთ. შემდეგი ნომერი გამოვა თბილისში წინანდელი „ეშმაკის მათრახის“ სათაურით“.

**ს. თ—ია**

# რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობა

**პუანკარე არ იმალება**

**პარიზი. 25 თებერვალი, (რადიო).** „ჟურნალ დედებას“ მოჰყავს პუანკარეს შემდეგი სიტყვები: მე არ ვემალები საბჭოთა მთავრობას. პრინციპიალურათ მე თანახმა ვარ რუსეთთან სავაჭრო ურთიერთობის ოფიციალურად აღდგენისა. მაგრამ შეუძლებლად მიმაჩნია დაუშვა ამ საკითხის ოფიციალური განხილვა საფრანგეთის მთავრობის და პარლამენტის მიერ, რადგან ეს „დიდ ავტორიტეტს შესძენდა საბჭოთა მთავრობას“. ამ საკითხის ოფიციალურად განხილვისგან უნდა თავი შევიკავოთ უთუოდ იმ დრომდე, ვიდრე უზრუნველყოფილ არ იქნება საფრანგეთის და მის მოქალაქეების ინტერესები და თანაც არა ცალიერ სიტყვით, არამედ საქმით“.

თავის მხრივ „ჟურნალ დედება“ მოითხოვს, რომ საბჭოთა მთავრობამ თავის აღიარებამდე მისცეს უფლება რუსეთის ტერიტორიაზე თავისუფლათ სიარულსა იმ ქვეყნების მოქალაქეებს და აგენტებს, რომლებთანაც რუსეთს სურს შეკრას სავაჭრო შეთანხმება, მხოლოთ ამ შემთხვევაში მრეწველები შეიძლებენ გაიგონ რუსეთის ნამდვილი მდგომარეობა და გამოარკვიონ, რა ზომებია საჭირო რუსეთის მრეწველობის აღსადგენათ, სხვა და სხვა ნაირ მოარულ სატკივრის წინააღმდეგ საბრძოლველათ, გლეხების საშველათ ნახნავების დათესვის საქმეებში და დასასრულ სიმშილის მოსასპობათ.. „ჟურნალი“ დედებას“ აზრით, რუსეთის კარების გაღება გაცილებით მეტს სარგებლობას მოიტანდა, ვიდრე განაწილება რუსეთის დამშეულ რაიონებში ამერიკის სანოვაგისა, რომელიც დიდის გაჭირვებით გადმოაქვთ ამერიკიდან.

# მისალმება ამხ. ფ. მახარაძეს

სიღნაღის მაზრის საბჭოთა ყრილობა მხურვალეთ გესალმებათ თქვენ, როგორც ძლიერ ბელადს საქართველოს კომუნისტური პარტიისა, გისურვებთ ჯანმრთელობას და დღეგრძელობას მშრომელი ხალხის საკეთილდღეოთ ყრილობა დარწმუნებულია, რომ თქვენ ბოლომდის დარჩებით ჩვენი ერთგული, დაუღალავ მასწავლებლათ და თქვენი დარიგებით და ხელმძღვანელობით გაგვიადვილებთ ჩვენ ბრძოლას კომუნიზმის საბოლოოთ დასამყარებლათ. ეცოცხლეთ და იდღეგრძელეთ ჩვენო მოხუცო გამოცდილო ტ ბრძოლაში გამობრძმედილო რევოლიუციონერო.

**ყრილობის პრეზიდიუმი.**

# ქრონიკა

◆ **სახალხო ბანკის ძირითადი თანხა.** საქართველოს რევკომმა დაადგინა გაადიდოს საქართველოს ს. რ. სახალხო ბანკის ძირითადი თანხა 30 დან 50 მილიარდ მანეთამდე.

◆ **შავი ქვის საქმე.** საკითხი შავი ქვის მადნების და ქარხნების მომავალ ექსპლოატაციის შესახებ ჭიათურის რაიონში საქართველოს რევკომმა გადასცა უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს მახლობელ სხდომაზე გადასაწყვეტად.

◆ **სოციალური უზრუნველყოფა.** სოციალურ უზრუნველყოფის შესახებ დროებით წესების თანახმათ სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატმა სამუშაო ქირის სატარიფო განაკვეთების მომატებასთან დაკავშირებით დააწესა პენსიის ზომა თვეში—450,000 მან., ესე იგი მინიმალურ სატარიფო განაკვეთის [illegible] ველგვარი მაგრამ რადგან ასეთი ხარჯ[illegible] მეტად დიდ ტვირთს შეადგენ[illegible] ნისთვის, ამიტომ პენსიონერებს [illegible] ლათ მიეცემა 35 პროცენტი პენსი[illegible]

ხოლო დანარჩენი ნაწილი შეძლების დაგვარად სანოვაგით. მაგრამ სანამ პენსიონერების ასეთ სახელმწიფო უზრუნველყოფას შემოიღებდნენ, განზრახულია ზედმიწევნით გადაისინჯოს პენსიონერების სიები და მხოლოდ ყველაზე მეტად გაჭირვებულნი დატოვონ.

◆ **ბრძოლა მოარულ სატკივრებთან.** სახალხო ჯანმრთელობის კომისარიატმა დიდუბეში მოაწყო საევაკუაციო პუნქტი, რომელსაც შეუძლიან 250 კაცის მიღება, წითელ არმიელებისა, ლტოლვილთა და ავათმყოფ მგზავრთა საჭიროებისათვის.

◆ **საზინაო საქმე.** საქართველოს ს. ს. რ. რევკომმა დაამტკიცა შინაგან საქმეთა კომისარიატის მიერ წარდგენილი პროექტი საგანგებო საფილტრაციო სამეულის და თბილისის განმტვირთავ ცენტრალურ საუწყებათაშორისო კომისიის ყველა სამუშაო და საქმეების თბილისის ალმასკომის გამგებლობაში გადაცემის შესახებ.

◆ **ქართულ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებაში.** კვირას ა. წ. 5 მარტს, დილის 11 საათზე საზოგადოების დარბაზში (ბარიატინის ქ. № 5) შესდგება ქართულ სასოფლო სამეურნეო საზოგადოების წევრთა საერთო კრება. განსახილველი საგნები: 1. მოხსენება საზოგადოების მდგომარეობის შესახებ, 2. მოხსენება საზოგადოების მოქმედების გეგმის შესახებ, 3. ახალ წევრთა მიღება, 4. საზოგადოების თავმჯდომარის, მისი ამხანაგის, ხაზინადარის, მდივნის, საბჭოს ს. ხ. წევრთა და სარევიზიო კომისიის არჩევა, 5. მიმდინარე საკითხები.

◆ **ახალი სათამაშო ბანქო.** ს. ს. ს. რესპუბლიკის სახელმწიფო ქაღალდების დამმზადებელი ექსპედიცია შეუდგა ახალი სათამაშო ბანქოს გამოცემის თადარიგს, რომლის მთელი შემოსავალი გადაეცემა საქართველოში დამშეულთა დამხმარე კომიტეტს.

# საქართველოს ეკონომიური ცხოვრება

## ჩვენი ტრანსპორტი

რკინის გზათა ტრანსპორტის მუშაკების ყრილობაზე, რომელიც შესდგა თებერვლის ბოლო რიცხვებში თბილისში, ამიერ კავკასიის გზების უფროსის თანაშემწემ ინჟინერმა ვეიზერმა გააკეთა მოხსენება ჩვენი ტრანსპორტის მდგომარეობის შესახებ.

მოხსენება მოკლედ შემდეგია:

ამიერ კავკასიის რკინის გზების გაერთიანების დღიდან ტრანსპორტის საერთო მდგომარეობა მძიმე იყო. ამაზე გავლენას ახდენდა უმთავრესად ტრანსპორტის მუშაკების ნაკლები უზრუნველყოფა სურსათ სანოვაგით და ფულით, რაც იწვევდა შრომის ნაყოფიერების დაცემას და აგრეთვე მუშა მოსამსახურეების დაავადმყოფების დიდ პროცენტს აზერბეიჯანის და სომხეთის ტერიტორიაზე. ხანდისხან საქმე იქამდი მიდიოდა, რომ მუშა მოსამსახურეების შტატს აკლდებოდა 50 პროც. საკმაო რეზერვის უქონლობის გამო, რომელსაც შეეძლო დაავადმყოფებულის შეცვლა, რკინის გზების მდგომარეობა მეტად რთულდებოდა და მოძრაობა ხშირათ საფრთხეში ვარდებოდა.

გზების მუშაობაზე უარყოფით გავლენას ახდენდა აგრეთვე ომის წინა პერიოდთან შედარებით გზების მდგომარეობა. სალი „შპალების“ ნაკლებობის გამო მეტად შეიზღუდა მატარებლების ტეხნიკური მოძრაობის სიჩქარე, რაც თავის მხრივ მიზეზი შეიქნა მოძრავი შემადგენლობის მიმოსვლის გაუარესებისა. ამის გამო გზების ზოგიერთ ნაწილებზე აუცილებელი გახდა ღამით მატარებლების მოძრაობის შეჩერება.

ტრანსპორტის საერთო მდგომარეობის გამართულებელი მიზეზი შემდეგშია, ომის წინა ხანებთან შედარებით, იყო აგრეთვე მოძრავი შემადგენლობის დაზიანება, რაც შედეგია მასალებისა და სამარაგო ნაწილების უქონლობისა. ამ გართულებამ გამოიწვია ვაგონების და განსაკუთრებით ორთქლმავალების საერთო რიცხვის შემცირება.

შემდეგ მომხსენებელი აღნიშნავს, რომ უკვე არსებული და მისაღები ტვირთი უზრუნველყოფს ამიერ კავკასიის რკინის გზების მუშაობას დიდი ხნით.

მომხსენებელი აღნიშნავს აგრეთვე, რომ ჩვენი გზები გაერთიანების შემდეგ სავსებით ასრულებს არა მარტო ტვირთის გადაზიდვის მოთხოვნილებებს, არამედ მთელ რიგ ზედმეტ დამკვრელ შეკვეთებსაც. გაუმჯობესდა აგრეთვე სამგზავრო მატარებლების მიმოსვლა, თუმცა იმდენად კიდევ არა, რომ სავსებით დააკმაყოფილოს მხარის ეკონომიური მდგომარეობის მოთხოვნილებები.

შემდეგში ტრანსპორტის მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის მომხსენებელი აღნიშნავს მთელ რიგ ზომებს, როგორიცაა რკინის გზელების ცხოვრების და შრომის პირობების გაუმჯობესება, მარქაფი მუშამოსამსახურეთა ყოლა ავადგამხდარი მოსამსახურეების შესაცვლელად და ახალი სამეურნეო დებულებების სწრაფი გატარება ტრანსპორტის ექსპლოატაციის საქმეში.

# ამხ. არკადი შამხალოვი

ამხ. არკადი ჯერ კიდევ ახალგაზრდა იყო, სულ 32 წლისა. როგორც მუშამ - ასოთ-ამწყობმა, ნამდვილმა პროლეტარმა თავისი სიცოცხლე შესწირა თავის საყვარელ საქმეს,—მუშათა კლასის საკეთილდღეოდ ბრძოლას. ჯერ კიდევ ბავშვი იყო 16 - 17 წლისა, როდესაც ის პირველად იქნა დაპატიმრებული ბაქოში ასოთ ამწყობების გაფიცვის გამო. ის იმ დღიდანვე შეიქმნა დევნილი; რომელ ქალაქშიც კი მოუხდებოდა მუშაობა, ყველგან მას არ სცდებოდა ციხე და გადასახლება. ამხ. არკადის ყველგან ხვდებოდა მეფის კლანჭები: ის იყო დასჯილი ბაქოში, არმავირში, როსტოვში, ასხაბადში, ოდესაში და სხვაგან. ის, როგორც დაუღალავი მებრძოლი, რევოლიუციონერი, ყველგან რევოლიუციონურ ტალღებს სათავეში ექცეოდა. აი, დგება 17—18 წელი; მუშათა კლასი გამოდის ბრძოლის ველზე. ამხ. არკადი ებმება საშინაო ომში, ის ხელმძღვანელობს წითელ კომუნარების რაზმს ჩრდილოეთ-კავკასიაში ის ენერგიულად იბრძვის კონტრ-რევოლიუციონურ ბანდების წინაამდეგ, მაგრამ 18 წლის ბოლოს დენიკინის ბანდები ერტყმიან გარშემო, ამხანაგებს უხდებათ უკან დახევა ასტრახანისკენ, სადაც მათ ხვდებათ ათასგვარი დაბრკოლება: სიმშილი, სიცივე და სხ. რომელსაც ბევრი კომუნარები ვერ იტანენ და ეცემიან კალმიკის მინდვრებზე. ამხ. არკადი დაავადმყოფებული აღწევს ასტრახანს და იქ იწყებს მუშაობას. როდესაც ჩვენი წითელი ჯარები დენიკინის ბანდებისგან ანთავისუფლებენ ჩრდილოეთ კავკასიას, ამხ არკადი ბრუნდება პიატიგორსკში და განაგრძობს მუშაობას საგანგებო კომისიაში საპასუხისმგებლო ადგილზე.

ამხ. არკადი, როგორც ასოთ-ამწყობი იწამლება იმ ატმოსფერით, რომელიც სუფევს სტამბაში. აგრეთვე ტანჯვამ, სიმშილმა, სიცივემ ის და ასნეულა და ამ საშინელი სენით, ტუბერკულიოზით ბრუნდება უკანასკნელ დროს ჩვენთან და როგორც მუშა სურვილს აცხადებს იყოს თავის საყვარელ საქმეზე მუშებთან

და აი, აქ კი უკანასკნელად ვეთხოვებით მას.

ა ლიცინოვი.

# წარმოებითი პროფკავშირები

## მასსებს დაუახლოვდით.

(ს. პ. კ. ს. ცირკულიარი).

ს. პ. კ. ს. საორგანიზაციო საინსტრუქტორო განყოფილებამ დაუგზავნა ყველა ცენტრალურ მმართველობებს და სამაზრო პროფბიუროებს შემდეგი ცირკულიარული მიმართვა.

ძვირფასო ამხანაგებო! საქართველოს პროფესიონალურ წარმოებით კავშირების საბჭომ არა ერთხელ აღნიშნა, რომ აუცილებელი საჭიროა მუშათა ფართე მასსების ჩარევა პროფესიონალურ მოძრაობაში.

ეს აუცილებლობა ნამეტნავად სა[illegible] შეიქნა ეხლა, როდესაც [illegible] ჩვენი პროფესიონალური კავშირები დიდ ყურადღებას აქცევენ შრომისა და მშრომელთა ინტერესების დაცვას. თავის ცირკულიარებში საბჭო წინადადებას გაძლევდათ ხოლმე პასუხისმგებელი მუშაკები გაგემწესებინათ ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტებში იმ მიზნით, რომ მათში პროფწარმოებითი მუშაობა გაეძლიერებინათ.

ამ ცირკულიარში ნარჩევი ზომა წარმოადგენს წინანდელი ზომის დამატებას. მას მიზნათ აქვს დასახული მუშათა მასსების დაახლოვება თავიანთ კავშირის ორგანოებთან. ეს ზომა შეტანილი და ერთხმათ მიღებული იყო კავშირების ცენტრალურ მმართველობების პასუხისმგებელ მუშაკების სხდომაზე და გამოწვეული იყო შემდეგი მიზეზით: პროფესიონალური მუშაობას მუდამ და ყველა ქვეყნებში ისე უცქეროდნენ, როგორც პოლიტიკურ საზოგადოებრივ მუშაობას და როგორც ასეთი მუშაობა, იგი არ იყო განსაზღვრული დროთი. ასე იყო ჩვენში, საქართველოშიაც. კავშირთა ორგანიზაციებში მუშაობა სწარმოებდა დღისითაც და საღამოთიც. საღამოთი მუშაობა გამოიწვია იმან, რომ მუშებს დღისით არა აქვთ თავისუფალი დრო კავშირში სამუშაოთ. სამუშაო დროში ცვლილება არ მომხდარა. და მუშები ეხლაც დღისით თავიანთ დაზგებთან დგანან. მაგრამ ამ გარემოებას კავშირებმა ანგარიში არ გაუწიეს მუშაობისთვის საათების დანიშვნის დროს, რამაც გამოიწვია კავშირთა ორგანოების განცალკევება თავიანთ მასსებისგან და მუშების მიერ მათი არჩეულ ორგანოების დანიშნულების უცოდინარობა.

აღიარა რა შეუცვლელობა პროფესიონალურ ლოზუნგისა „მასსებს დაუახლოვდით“ და სურს რა ხელი შეუწყოს მის ცხოვრებაში პრაქტიკულათ გატარებას, ცენტრალურ მმართველობების პასუხისმგებელ მუშაკების სხდომამ დაადგინა: 1, პრეზიდიუმების ცენტრალურ მმართველობების და სამაზრო პროფბიუროების ყველა სხდომები გაიმართოს საღამოობით, 2) განყოფილებათა გამგეებმა დაევალოს საღამოს 5 საათიდან 7-მდე აწარმოონ კავშირში პროფესიონალური მუშაობა, 3) წინადადება მიეცეს პრეზიდიუმის წევრებს დილით ორ ორი საათი მოანდომონ წარმოებებისა და ფაბ. ქარხკომებისადმი, 4) ტეხნიკურ პერსონალისთვის დაწესდეს 4 საათის მუშაობა დილაობით და 2 საათის მუშაობა საღამოობით, სახელდობ: დილით 10 ს.—2-მდე და საღამოთი 5 ს. 7-მდე. საღამოს მეცადინეობის საათების დანიშვნა სამაზრო პროფბიუროებისთვის მათ თითონ აქვთ მინდობილი.

ამ ხსენებულ ზომას სთვლის რა აუცილებლათ მუშათა მასსების და საახლოვებლათ თავიანთ კავშირების ორგანიზაციებთან, რაც თავის მხრივ გარანტიათ გამოდგება ჩვენი პროფმოძრაობის განსამტკიცებლათ, პროფესიონალურ კავშირთა საბჭო წინადადებას აძლევს ყველა ცენტრალურ მმართველობებს და სამაზრო პროფბიუროებს 1 მარტიდან შეურყევლათ იხელმძღვანელონ მით.

ს. პ. კ. ს. მდივანი **ლ დუმბაძე.**

ს. პ. კ. ს. საორგ.-საინსტრ. განყოფილების გამგე **ოდილავაძე.**

პასუხისმგებელი მდივანი **ტერ-არუთინოვი.**

# მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

## დადგენილება № 147

**საქართველოს სოც. საბჭ რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტისა.**

**ქალ. თბილისის განტვირთვის ცენტრალური საუწყებათაშორისო კომისიისა და საგანგებო საფილტრაციო სამეულის გადაცემის შესახებ თბილისის ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტის გამგებლობაში.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტის მიერ 1922 წლის იანვრის 14-ს თარიღითა და 40 №-ით და ამავე წლის დეკემბრის 8-ს თარიღითა და 111 №-ით გამოცემულ დადგენილებათა შესაცვლელად საქართველოს რევოლიუციონური კომიტეტი ადგენს:

1. თბილისის განტვირთვის ცენტრალური საუწყებათაშორისო კომისიის და საგანგებო საფილტრაციო სამეულის მოქმედება შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატიდან გადატანილ იქნეს თბილისის აღმასრულებელ კომიტეტის სამმართველოს განყოფილებაში.

2. გაერთიანებულ იქნეს თბილისის განტვირთვის ცენტრალური საუწყებათაშორისო კომისიისა და საგანგებო საფილტრაციო სამეულის მოქმედება „ქალაქ თბილისის განტვირთვისა და ფილტრაციის განსაკუთრებული საუწყებათაშორისო კომისიის“ სახელწოდებით.

3. კომისიის შედგენილობა განსაზღვრულ იქნეს შემდეგნაირად:

ა) თბილისის აღმასრულებელ კომიტეტისაგან—ორი (2) წარმომადგენელი:

1) სამმართველოს განყოფილების გამგე—თავმჯდომარე,

2) კომუნალურ მეურნეობის გამგე თავმჯდომარის მოადგილე, და თითო წარმომადგენელი:

ბ) საქართველოს საგანგებო კომისიისა,

გ) მუშათა და გლეხთა ინსპექციისა და შრომის სახალხო კომისარიატისა,

დ) საქართველოს კომუნისტურ პარტიის თბილისის კომიტეტისა და

ე) საქართველოს პროფესიონალური კავშირის საბჭოსაგან.

4. თბილისის განტვირთვის ცენტრალური საუწყებათაშორისო კომისიისა და საგანგებო საფილტრაციო სამეულის თავმჯდომარენი ვალდებულნი არიან, ხუთი დღის განმავლობაში დღიდან ამა დადგენილების გამოქვეყნებისა, ჩააბარონ „თბილისის განტვირთვის და ფილტრაციის საუწყებათაშორისო განსაკუთრებულ კომისიას“ ყოველი საქმე, მთელი ტეხნიკური აპარატი და გააცნონ იგი ცენტრალურ საუწყებათაშორისო კომისიისა და საგანგებო საფილტრაციო სამეულის მუშაობას.

5. დაევალოს განსაკუთრებულ კომისიას ერთი კვირის ვადაზე შეადგინოს ვრცელი ინსტრუქცია „თბილისის განტვირთვისა და ფილტრაციის განსაკუთრებული საუწყებათაშორისო კომისიის“ მოქმედებისათვის და წარუდგინოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარს დასამტკიცებლათ.

6. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე **ბ. კვირკელია.**

რევოლიუციონური კომიტეტის მდივანი **ალ ხალარიძე.**

1922 წ. თებერვლის 27.

თბილისი—სასახლე.

## დადგენილება № 148

**საქართველოს სოც. საბჭ რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტისა.**

**გამოძიებასა და სამართალში მიცემულ მუშა-მოსამსახურეთა ჯამაგირით დაკმაყოფილების შესახებ.**

საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტი ადგენს:

1. მუშა-მოსამსახურეს, რომელიც გამოძიების ქვეშ იმყოფება ან სამართალშია მიცემული და, ამის გამო, სრულიად დათხოვნილია სამსახურიდან, ესპობა ჯამაგირისა და ყოველგვარი ხასიათის გასამრჯელოს მიცემა დღიდან მისი დათხოვნისა.

2. მუშა-მოსამსახურეს, რომელიც გამოძიების ან სამართლის ქვეშ იმყოფება და, ამის გამო, დროებით გადაყენებულია სამსახურიდან, ეძლევა ჯამაგირის ნახევარი დღიდან მისი გადაყენებისა სასამართლოს მიერ საბოლოო განაჩენის გამოტანამდე; ხოლო, თუ იგი სასამართლოს მიერ გამართლებულ იქნება, უნდა მიეცეს დანარჩენი დაჭერილი თანხაც.

**შენიშვნა:** ა) თუ ვინიცობაა, სასამართლოს განაჩენის გამოტანამდე, რაიმე მანიფესტის ძალით, საქმე მოსპობილ იქნა, დაჭერილი ჯამაგირის ნახევარი მანიფესტით განთავისუფლებულ პირს არ მიეცემა; ბ) დაჭერილი ჯამაგირის ნახევარი უნდა მიეცეს გამოძიების ქვეშ მყოფ იმ მუშა-მოსამსახურეს, რომლის შესახებ გამოძიება მოსპობილ იქნება სათანადო დაწესებულების მიერ.

საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე **ბ. კვირკელია.**

შრომის სახალხო კომისარის მოადგილე **ა. მიქაძე.**

რევოლიუციონური კომიტეტის მდივანი **ალ. ხალარიძე.**

1922 წ. თებერვლის 23.

ტფილისი—სასახლე.

## დეკრეტი № 97.

**საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. რევოლიუციონ კომიტეტისა— ბავშვთა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების კომისიის შესახებ.**

რათა გაუმჯობესებულ იქნეს ბავშვთა ყოფა ცხოვრება, საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტი ადგენს:

1. საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკის რევოლიუციონურ კომიტეტთან დაარსებულ იქნეს ბავშვთა ყოფა ცხოვრების გაუმჯობესების მუდმივი საუწყებათაშორისო კომისია შემდეგი შედგენილობით: თავმჯდომარე,—რომელსაც დანიშნავს საქართველოს რევოლიუციონური კომიტეტის პრეზიდიუმი და ცამეტი წევრი, საქართველოს საგანგებო კომისიისა, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატისა, განათლების სახალხო კომისარიატისა, სასურსათო სახალხო კომისარიატისა, სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატისა, ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატისა, შრომის სახალხო კომისარიატისა, იუსტიციის სახალხო კომისარიატისა, მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატისა, საქართველოს კომუნისტური ახალგაზრდობის კავშირის ცენტრალური კომიტეტისა საქართველოს კომუნისტური პარტიის თბილისის კომიტეტისა და პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს თითო წარმომადგენლისაგან, რომელთაც პერსონალურად დაამტკიცებს საქართველოს რევოლიუციონური კომიტეტი

2. ბავშთა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების მუდმივ საუწყებათაშორისო კომისიას დაევალება შემდეგი:

ა) დახმარება დაწესებულებათათვის მათ რიცხვში იმ დაწესებულებისათვისაც, რომელიც განაგებს უპატრონო ბავშვთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვას,—სურსათსანოვაგითა, ბინითა, გათბობითა და სხვ.

ბ) მეთვალყურეობა ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოების მიერ ბავშვთა დაცვისა და სრულიად უზრუნველყოფის შესახებ გამოცემულ დადგენილებათა განხორციელებისათვის.

გ) გამოცემა განკარგულებებისა,—კომისიის უფლებათა ფარგალში, ცენტრალური ხელისუფლების მომქმედ კანონებისა და დადგენილებათა საფუძველზე,—ბავშვთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვის შესახებ.

და დ) საკანონმდებლო თაოსნობა (ინიციატივა) ამა მუხლში აღნიშნული კითხვების გადასაწყვეტად.

3. კომისია ყოველ თავის ღონისძიებას განახორციელებს ცენტრალური ორგანოებისა, ხოლო ადგილობრივ-სამაზრო რევოლიუციონური კომიტეტების მეშვეობით რომელნიც დანიშნავენ თითო რწმუნებულს თვითეულ მაზრაში—უშუალო მუშაობისათვის კომისიის ხელმძღვანელობით. რწმუნებულნი პასუხისმგებელნი არიან, როგორც სათანადო სამაზრო რევოლიუციონური კომიტეტისა, ისე კომისიის წინაშე.

4. კომისიის ხარჯთ-აღრიცხვა წარედგინება საქართველოს რევოლიუციონურ კომიტეტის პრეზიდიუმს, რომელიც დაამტკიცებს მას არსებული წესით. კომისიას უფლება ეძლევა ადგილობრივ რწმუნებულთა სახელმძღვანელოდ—გამოსცეს ვრცელი ინსტრუქცია.

5. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე **ბ. კვირკელია.**

სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარი **ს. თოდრია.**

რევოლიუციონური კომიტეტის მდივანი **ალ. ხალარიძე.**

1922 წ. თებერვლის 23.

თბილისი-სასახლე.

## ცირკულიარი № 7.

**საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის ყველა მიწის კომიტეტებს.**

მიწის კომიტეტებს, რომლებიც მოეწყვენ თანახმად მიწის დეკრეტის № 17 მეექვსე მუხლისა და არსებობენ დღემდე, ევალებათ მიწათ მოწყობის დაწყებამდე მათ რაიონში:

1. თვალყური ადევნონ და მიიღონ ყოველ გვარი ზომები, რომ არ დარჩეს სადმე დაუთესავი მიწა ან ბაღი და ვენახი დაუმუშავებელი და მოუვლელი;

2. სოფლის მშრომელთა შორის ამტყდარ დავაში მიწით სარგებლობის შესახებ შესაფერი ზომების მიღება, რათა დავა ან უთანხმოება მორიგებით გათავდეს ყოველივე ძალდატანების გარეშე. თუ რომ ასეთი ზომებით მორიგება არ მოხდა, საქმე გადავა განსაკუთრებულ კომისიაში.

3. თუ სოფელში ვისმეს შემთხვევით აღმოაჩნდება იმდენი მიწა, რომ ის თავისი შრომით ვერ ასწრებს მის დამუშავებას, ამ შემთხვევაში მიწის კომიტეტი დაუყონებლივ აცნობებს სამაზრო მიწად-მოქმედების განყოფილებას ზედმეტი მიწის ჩამორთმევის და უმიწაწყლოთა შორის დროებით დანაწილებისთვის საჭირო ზომების მისაღებად;

4. მიწის კომიტეტები ყოველ ღონეს ხმარობენ, რომ სოფლის მუშათა ქვრივ-ობლების, მოხუცებულ-დავრდომილების და მიწის მუშა წითელ არმიელების მიწა არ დარჩეს დაუმუშავებელი და რომ ეს მიწები სოფელმა დაუმუშავოს მათ საზოგადოებითი შრომით;

5. მიწის კომიტეტები ასრულებენ მხოლოდ იმ პირების განკარგულებებს, რომლებიც გაგზავნილი იქნებიან სოფლათ მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატის მინდობილობით.

მიწად-მოქმედების სახალხო კომისარი **ფ. მახარაძე.**

## ექიმების და ფერშლების რეგისტრაცია.

ყველა საწარმოვო და სხვა დაწესებულების და მუშათა სახლების ექიმები და ფერშლები ვალდებულნი არიან სამი დღის განმავლობაში დღიდან ამის გამოქვეყნებისა, გამოცხადდნენ სარეგისტრაციოდ „დაზღვეულთა“ სამკურნალო დახმარების მე-2-ე განყოფილებაში“, (პასკევიჩ ქ. № 4. ოთახი.

ჯანმრთელობის სახ. კომისარი **კუჭაიძე.**

სამკურნალო განყ. გამგე **ჯაფარიძე.**

სამკურნალო დახმარების მე-2-ე განყ. გამგე **ხუტულაშვილი.**

## ექიმების რეგისტრაცია.

წინადადება ეძლევათ ექიმებს, რომლებიც თავის დროზე არ გამოცხადდნენ აღრიცხვაზედ, რომელიც ხდება მთავრობის განკარგულებით ა. წ. 1 თებ. № 411, გამოცხადდნენ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის შენობაში 1-ში ან 2 მარტში. ეს დრო უკანასკნელი იქნება აღსარიცხავად. ამ ბრძანების შეუსრულებლობისათვის დამნაშავენი იქნებიან მიცემულნი პასუხისგებაში და გასამართლდებიან სარევოლიუციო დროის მთელი სიმკაცრით.

აღრიცხვის დროს საჭიროა წოდებრივი (საექიმო) საბუთები.

საორგანიზაციო განყოფილების გამგე, კოლეგიის წევრი (ხელმოწერილია).

**სარედაქციო კოლეგია.**

# მოხსენება გენუას კონფერენციის შესახებ

დღეს, საღამოს 8 საათზე პროფკავშირთა საბჭოს კლუბში შესდგება ამხ. შალვა ელიავას მოხსენება ქართულ ენაზე:

# „გენუას კონფერენცია“

ს. პ. კ. ს. კულტგანყოფილება.

# ხელის მომწერთა საყურადღებოდ

სახელმწიფო გამომცემლობა აუწყებს გაზ. „პრავდა გრუზიი“, „კომუნისტი“, „კარმირ ასტღ“ და „ნოვაია მისლის“ ყველა ხელის მომწერლებს (სახელმწიფო დაწესებულებებს, პარტიულ და მუშათა ორგანიზაციებს და კერძო პირებს, რომ შემდეგში გაზეთები გაეგზავნებათ მათ მხოლოდ მარტის ხელის მოსაწერი ფასის გადახდის შემდეგ.

დაწესებულებებს და პირებს, რომლებიც არ შემოიტანენ თებერვლის და მარტის ფასს, შეუწყდებათ გაზეთების გაგზავნა 1 მარტიდან.

ხელის მოწერა მიიღება სახელმწიფო გამომცემლობაში (ლორის-მელიქოვის ქუჩა № 5).

(5—2)

## პარტიული

— მე-4 რაიკომის პრეზიდიუმი აცნობებს პარტიულ ამხანაგებს, რომ პარტიული აღწერა რაიონში დამთავრდა.

ვინც არ გატარებულა აღწერაში, წინადადება ეძლევათ გამოცხადდენ რ. კ. პ. ც. კ. კავბიუროში. აღწერაში გასატარებლად, დილის 9 საათ. 3 საათამდე ვინც არ გამოცხადდება მექანიკურად გამოირიცხება პარტიიდან.

— საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის მე 4 რაიკომი აცხადებს რაიკომის ყველა კომუჯრედების მდივნების საყურადღებოდ, რომ ხუთშაბათს 2 მარტს საღამოს 5 საათზე, ქალაქის აღმასკომის სხდომების დარბაზში შესდგება მე-4 რაიკომის ღია სხდომა. კომუჯრედების მდივნების დასწრება სავალდებულოა. სასურველია იაჩეიკის წევრთა დასწრებაც.

# განცხადება

— ქ. თბილისის მე-3 უბნის სახალხო სასამართლო ამით აცხადებს, რომ 1922 წ. თებერვლის 15-ს მის დადგენილებით დამტკიცდა აღსასრულებლად გარდაცვალებულის მართა ოგანეზას ასულის ტერ-გრიგორიანცის ანდერძის წერილი, შედგენილი ქ. თბილისის ნოტარ. ალექსანდრე ივანეს ძის მიტკევიჩის მიერ 1921 წ. 31 მარტს დღეს, შეტანილ მის ნოტარ. მიტკევიჩის 1921 წ აქტის წიგნის მეორე ნაწილში, რომელიც არ ეხება უძრავ ქონებას, გვერდი 3, № 6.

სახალხო მოსამართლე (ხელმოწერილია).